



მთავარი თემა:

ახევნებიდან ახევნებამდე დაბებში თბილისის ბიუჯეტი

რეპორტაჟი
ავღანეთში
ბზა

გვ. 18

გელა
ხაჯინს
PIK-ს?

გვ. 32

სამართალი
ახალი
ანტიმონოპოლიური
პოლიტიკა

გვ. 38

ფოტორეპორტაჟი
საინსპექციის
მეზობელი

გვ. 42



ვიზიტი ქართულ-სომხური სახელმწიფო დეპუტატი

გვ. 22

ISSN 1987-7528



9 771987 752008

FM
სამუზიკო
98.0





ლიბერალი

№ 91 / 29 სექტემბერი - 5 ოქტომბერი /2011

მთავარი რედაქტორი

შორენა შავერდაშვილი

აღმსრულებელი რედაქტორი

სოფო ბუკია

რედაქტორი /საზოგადოება/

თამარ ბაბუაძე

ვებგვერდის რედაქტორი

ნანა საჯავია

შურნალისტები:

მაია ნიკლაური, ეკა ჭითანავა, თამარ ფარადაშვილი, ცირა გვასალია, მალხაზ ჭკადუა

კონტრაგუზები:

გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიანი, ნანა საჯავია, მარკ მალენი, კახა თოლორდავა, ოლესია ვართანიანი, მარიამ ამურველაშვილი

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია
კორექტორი თამარ ლონღაძე

ბამოცემლობა:

დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი,
გაყიდვებისა და ბიზნესის
განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი,
კლიენტთა მომსახურების და
დისტრიბუციის მენეჯერი
ნათია რუსაძე,

გაყიდვების მენეჯერები:

ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი,
ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან
მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი,
მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ
ზანდარაშვილი, თინა ოსევაშვილი
დისტრიბუტორი ზვიად შენგელია

რედაქტორისგან



ვიდრე „პირველი კავკასიური“ და შემდეგ უკვე „პიკი“ დაიწყებდა მაუწყებლობას საზოგადოებრივი მაუწყებლის ბაზაზე, ერთ-ერთი ხმალამოღებული ოპონენტი ვიყავი ამ პროექტისა. რატომ იწყებდა საზოგადოებრივი მაუწყებელი მესამე სატელევიზიო არხს მაშინ, როცა მაუწყებელს ჯერ კიდევ სრულიად გაუმართავი მენეჯმენტის სტრუქტურა, მართვადი და გაუაზრებელი სარედაქციო პოლიტიკა და როგორც ტელევიზიის მენეჯმენტი ამბობდა, პირველი და მეორე არხის, ასევე, რადიო მაუწყებლობისათვის არასაკმარისი დაფინანსება – 25 მილიონი ლარი ჰქონდა? რატომ უნდა დაეფინანსებინა საქართველოს მოქალაქეს ტელევიზია, რომელიც რუსულენოვანი აუდიტორიისათვის იმაუწყებლებდა და თან დასაწყისისათვის, სრულიად გაუგებარი კონცეფციით, რომელიც ორ ფარატინა ფურცელზეც კი ვერ იყო ჩამოყალიბებული. ასევე გაუგებარი იყო, რატომ უნდა გადასცემოდა ეს არხი სამართავად კერძო კომპანიას და რატომ გამოიყო, სრულიად უპრობლემოდ, ამ არხისათვის 14 მილიონი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ესეც საწყის ეტაპზე? მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭომ აქაც ნოტარიუსის ფუნქცია შეასრულა და უბრალოდ „გაატარა“ ეს ტრანში – სახელმწიფო ხაზინიდან – შპს „ქეი 1“-ის მიმართულებით.

ამ პასუხგაუცემელი კითხვების მიუხედავად, „პიკმა“ დაიწყო მაუწყებლობა და ერთ წელიწადში ხელშესახებ შედეგებსაც მიაღწია – გაუჩნდა აუდიტორია, აქვს მაუწყებლობის კონცეფცია და სტრუქტურა და უკვე გარკვეული რეპუტაცია. თუმცა, არხის გენერალური დირექტორი რობერტ პარსონსი და მისი საერთაშორისო გუნდი, რომელმაც სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობის გარანტიები ერთი წლის წინ ხელისუფლებისაგან მიიღო, ტოვებს საქართველოს და „პიკი“ ამ გარანტიების გარეშე რჩება, რაც ბუნდოვანს, ან პირიქით, ადვილად წარმოსადგენს ხდის მის მომავალს.

თუ დავინყეთ და 26 მილიონიც დაეხარჯეთ ახალი არხის აღჭურვაზე, ახლა ის მაინც უნდა მოხდეს, რომ არხმა გააგრძელოს არსებობა და განვითარება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ გასარკვევია, რამდენად მიზნობრივად და ეფექტიანად დაინარჯა ეს ჩვენი 26 მილიონი. იქნებ პირველი არხისთვისაც სასარგებლო გახდეს „პიკის“ გამოცდილება? ზოგადად კი, ხომ არ შეიძლება, მუდმივად პოლიტიკურ ნებასა თუ ჩვენი ხელისუფლების სპონტანურ გადაწყვეტილებებზე იყოს დამოკიდებული ყველა კარგი თუ ცუდი წამოწყების ბედი?

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი სხდომა, რომლის წევრი მეც ვარ, მომავალ კვირასაა დაგეგმილი და იმედა, კვლავ თამაშგარე მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებით საზოგადოებრივი ინტერესების სადარაჯოზე მყოფი მეთვალყურეები.

შორენა შავერდაშვილი

ფოტო: სპოტ-საინფორმაციო ცენტრი



ახიზნებიდან ახიზნებად დაბაზილი თბილისის ბიუჯეტი

როგორ იხარჯება თბილისის მერიის ბიუჯეტი არჩევნებიდან არჩევნებამდე. მხოლოდ 2010 წელს, როდესაც ქალაქში თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა, დედაქალაქის ბიუჯეტმა 743 მილიონ ლარს გადააჭარბა. მისი 60-80 პროცენტი კი წლის პირველ ნახევარში, 30 მაისის არჩევნებამდე დაიხარჯა.

ქალაქის მერია, სხვადასხვა პროგრამასთან ერთად, სანახაობრივ-გასართობ ღონისძიებებსაც აფინანსებს. ხშირად თანხები ამ მიზნით სარეზერვო ფონდიდანაც იხარჯება. მაგალითად, კომპანიები, რომლებიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში კომედიურ გადაცემებს ამზადებენ, სარეზერვო ფონდიდან 90 ათასამდე ლარით დაფინანსდნენ.

მთავარი თემა
83.26

ვიკილიქსი ქაჩთა-სომხური საეხლასი დავა

Wikileaks-ის მიერ გამოქვეყნებულ მასალებში ჯონ ტეფტისა და სხვა ამერიკელი დიპლომატების თითქმის ორწლიანი მიმოწერიდან ნათელი ხდება, რომ ეკლესიებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა სომეხ და ქართველ პატრიარქებს შორის არსებული პიროვნული კონფლიქტია.

„გარეგინ მეორემ ნორაშენის ეკლესიის საკითხი წამოსწია. ილია მეორემ აღნიშნა, რომ გარეგინ მეორე



ჩაქის PIK-ს?

ზუსტად 3 თვეში რუსულენოვან ტელეკომპანია PIK-ს ახალი მმართველობა ეყოლება. რობერტ პარსონსი, რომელიც ამჟამად PIK-ის გენერალური დირექტორია, მის მიერ მოწვეულ უცხოელ პროფესიონალებთან ერთად ტელევიზიას დატოვებს.

პარსონსი ფიქრობს, რომ არხის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ PIK-ს სარედაქციო დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე შეექმნება.

მაია ნიკლაური
83.33



დაჟინებულად მოითხოვდა თბილისში დაუყოვნებლივ დაპატიჟებას და ნორაშენის ტაძრის მისთვის გადაცემას, – ყვებოდა ტეფტი დეპეშაში.


ასეთი დამოკიდებულება ილია მეორეს არ მოეწონა: „მან აღნიშნა, რომ გარეგინ მეორის ასეთი მოუთმენლობა რუსული გავლენით აიხსნებოდა, რადგან მისი ძმა მოსკოვში ეპისკოპოსი იყო.“

ოლესია ვართანინი
83.22

ჯინის ეფექტი

„ამ ეტაპისთვის ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში საშუალო ფენა არის საკმაოდ მცირე. ეს იმას ნიშნავს, რომ მთლიან ეკონომიკასთან შედარებით საშუალო და მცირე ბიზნესი განუვითარებელია, რაც ქვეყნის ზრდისთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლება იქნება.“

ჩვენი მონაცემები ახლოსაა ისეთი ქვეყნების მონაცემებთან, როგორცაა რუსეთი, თურქეთი და სამხრეთამერიკული ქვეყნები, რაც ქვეყანას კარგ პერსპექტივას არ უქადის. საჭიროა ისეთი ზომების გატარება, რომელიც საშუალო ფენის ზრდას განაპირობებს.“


 ნანა საჯავაის ინტერვიუ ვლადიმერ უგულავასთან
03.14

ფოსტოქოხტაუი

საქონათვის მებრძოლი



ფოტო: მარიამ ამურველაშვილი

 მარიამ ამურველაშვილის ფოტორეპორტაჟი
03.42-47

ბამოცხველი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ფლენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სხვა ბამოცხველი:

„ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაჟი:

სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02. გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოცემა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ნომერი:

- 04 მოკლედ
- 06 რიცხვები, ციტატები
- 08 **ორი აზრი**
უნდა იყოს თუ არა სავალდებულო სამხედრო სამსახური?
ირაკლი სესიაშვილი VS ირაკლი ხვადაგიანი
თვალსაზრისი
- 10 მისიის განკარგულება
მარკ მალენი
- 12 ხელისუფლების „სამეცნიერო არგუმენტებით“ გამართლების შესახებ
გიორგი ცხადაია
ინტერვიუ
- 14 „ჯინის“ ეფექტი
ვლადიმერ უგულავა
რეპორტაჟი
- 18 ავღანური გზა
პოლიტიკა
- 22 ვიკილიქსი ქართულ-სომხურ საეკლესიო დავაზე
- 24 სტრასბურგი, ახალი პოლიგონი
მთავარი თემა
- 26 არჩევნებიდან არჩევნებამდე დაგვემილი თბილისის ბიუჯეტი
მედია
- 32 რა ელის PIK-ს?
სამართალი
- 38 ახალი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა
ფოტორეპორტაჟი
- 42 სულისათვის მებრძოლი
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 48 აგენტი 09

ახალი მთავრობა აფხაზეთში



26 სექტემბერს აფხაზეთში დე ფაქტო პრეზიდენტის, ალექსანდრ ანქვაზის ინაუგურაცია შედგა. ანქვაზმა 26 აგვისტოს გამართულ არჩევნებში გაიმარჯვა.

„ჩვენი ძალისხმევა მიმართული იქნება იმისკენ, რომ მინისტრები და ხელმძღვანელები იყვნენ არა მარტო თანამდებობაზე მყოფი პირები, შუალედური რგოლები მმართველ იერარქიაში, არამედ თავიანთი დარგის ეფექტიანად მმართველი მენეჯერები, რომლებიც ზუსტად შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა წარმოადგენდეს თანამოაზრეთა გუნდს“, – განაცხადა ანქვაზმა აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის სამომავლო მიზნებზე საუბრისას.

„აფსნიპრესის“ ინფორმაციით, ინაუგურაციის მეორე დღეს, 27 სექტემბერს აფხაზეთის ახალმა ლიდერმა, ალექსანდრ ანქვაზმა მთავრობის პრემიერ-მინისტრად ლეონიდ ლაკერბაია დანიშნა. მან ამ პოსტზე პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი და ანქვაზის ყოფილი კონკურენტი სერგეი შამბა შეცვალა. შამბამ არჩევნებში 21 პროცენტი დააგროვა და ჯერ კიდევ აგვისტოში განაცხადა, რომ პოლიტიკიდან წასვლას გეგმავდა.

ლაკერბაიას აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობაში 90-იანი წლებიდან სხვადასხვა თანამდებობა ეკავა. გარკვეული პერიოდი ის იყო პირველი ვიცე-პრემიერი, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრი.

ანქვაზის ინაუგურაციას 26 სექტემბერს დაესწრო რუსეთის ფედერაციის საბჭოს ახალი თავმჯდომარე, ვალენ-

ტინა მატვიენკო. მან პირობა დადო, რომ რუსეთი აფხაზეთის ინტერესებს დაიცავს და მხარს დაუჭერს დე ფაქტო რესპუბლიკის ძალისხმევას, მოხდეს მისი აღიარება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.

ჩხეთის ფინანსთა მინისტრმა თანამდებობა დატოვა

მას შემდეგ, რაც რუსეთის ფინანსთა მინისტრმა, ალექსეი კუდრინმა განაცხადა, რომ დიმიტრი მედვედევთან რიგ პოლიტიკურ საკითხებზე უთანხმოება აქვს, მან თანამდებობა დატოვა. კუდრინის განცხადებით, ის არ ეთანხმება მედვედევის გადაწყვეტილებას შეიარაღების გაზრდასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ამ გადაწყვეტილებამ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას საფრთხე შეუქმნა. ვაშინგტონში ვიზიტისას კუდრინი ამ განცხადებით მომავალი მთავრობის პრემიერ-მინისტრად დიმიტრი მედვედევის დასახელებას გამოეხმაურა. მეორე დღესვე 27 სექტემბერს დიმიტრი მედვედევმა ალექსეი კუდრინი კრემლის ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკის გამო თანამდებობიდან გაათავისუფლა. მედვედევმა კუდრინს თანამდებობიდან გაათავისუფლებამდე ასეთი ტექსტით მიმართა: „დღის ბოლომდე გაძლევთ ვადას, მიიღოთ გადაწყვეტილება, გადადგებით თუ არა. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება პრეზიდენტის, ან მთავრობის პოლიტიკის მართებულობაში, შეუძლია პრეზიდენტს გადადგომის თხოვნით მიმართოს!“ კუდრინი ფინანსთა მინისტრად 2000 წლიდან მუშაობდა.

ლიბიაში დაძაბულობა ბეჩქელბა



„გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“ საერთაშორისო საზოგადოებას

ლიბიის საბრძოლო იარაღის საცავებზე კონტროლისკენ მოუწოდებს. პოლიტიკურ საკითხებში „გაეროს“ გენერალური მდივნის მოადგილემ, ლინ პასკომ განაცხადა, რომ შესაძლოა იარაღის საცავები ტერორისტების ხელში აღმოჩნდეს. პასკოს თქმით, მუამარ კადაფიმ ქვეყანაში დატოვა დიდი რაოდენობით საშიში საბრძოლო ტექნიკა, მათ შორის ქიმიური იარაღიც.

იარაღის საცავი ლიბიის გარდამავალი ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებმა რამდენიმე დღის წინ ქალაქ ჯუფრასთან აღმოაჩინეს. ამ საცავს გაეროს ქიმიური იარაღის კონტროლის განყოფილება სწავლობს.

ამის პარალელურად ლიბიის რამდენიმე რაიონში გრძელდება ბრძოლები კადაფის მომხრეებსა და ეროვნული გარდამავალი საბჭოს სამხედროებს შორის. „ნატოს“ საბრძოლო თვითმფრინავები კი კადაფის მშობლიურ ქალაქ სურთში რვა სამხედრო ობიექტს დაესხნენ თავს. ქალაქში კადაფის მომხრეები არიან განლაგებული.



ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში კი ლიბიის ახალმა ხელმძღვანელებმა მასობრივი საფლავი აღმოაჩინა. საფლავში 1200-ზე მეტი ადამიანი დასაფლავებული. სავარაუდოდ, ყველა მათგანი 1996 წლის ამბოხების დროსაა დახოცილი.

მიუხედავად დაძაბულობისა, ლიბიაში იტალიურმა ენერგოკომპანია „ენიმ“ ნავთობის წარმოება განაახლა. მან საქმიანობა სამოქალაქო დაპირისპირების გამო ნახევარი წლის წინ შეაჩერა.

ჯახინი ჩხეთის ჰიზბოლასთან მსახიბ აჯიხას

რუსეთის მმართველი პარტიის „ერთიანი რუსეთის“ ორდღიან ყრილობაზე ვლადიმერ პუტინი საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელდა. რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები 2012 წლის მარტში გაიმართება.

დარბაზში შეკრებილ პარტიის წე-



ვრებს გადაწყვეტილება პუტინის კანდიდატურის წამოყენების შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა გააცნო.

„ვთვლი, რომ სწორი იქნებოდა ყრილობამ მხარი დაუჭიროს პარტიის თავმჯდომარის, ვლადიმირ პუტინის კანდიდატურას ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე. ვლადიმირ პუტინი აცხადებს, რომ თანახმაა მიიღოს პარტიის წინადადება და საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი იყაროს“, – განაცხადა მედვედევმა. პუტინმა ყრილობის დელეგატებს „დადებითი რეაქციისთვის“ მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ მან და მედვედევმა სამომავლო ფუნქციებზე დიდი ხნის წინ მოილაპარაკეს.

პუტინმა 4 დეკემბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში „ერთიანი რუსეთის“ სიის პირველ ნომრად მედვედევი დაასახელა. ასევე განაცხადა, რომ მისი პრეზიდენტობისას პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი იქნება.

„დარწმუნებული ვარ, რომ „ედინაია რასია“ გამარჯვებას მოიპოვებს, სრულიად სახალხო მხარდაჭერაზე დაყრდნობით კი დიმიტრი ანატოლიევიჩი შეძლებს ახალი, ეფექტურად მომუშავე, ახალგაზრდა, ენერგიული მმართველი გუნდი შექმნას და რუსე-

თის ფედერაციის მთავრობის სათავეში ჩადგომას“, – აღნიშნა პუტინმა.

პალესტინის სახითი უშიშროების საბჭოში ბანისილება

„გაეროს“ უშიშროების საბჭომ ორგანიზაციაში პალესტინის სრულუფლებიანი წევრობის საკითხის წინასწარი განხილვა დაიწყო. პროცესი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს.

პალესტინის პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმა გაეროს პალესტინის სრულუფლებიან წევრად მიღების განცხადებით 23 სექტემბერს მიმართა.

ამის პარალელურად აშშ, რუსეთი, ევროკავშირი და „გაერო“ პალესტინასა და ისრაელს სამშვიდობო მოლაპარაკების განახლებისკენ მოუწოდებენ. თუმცა მაჰმუდ აბასის განცხადებით, მოლაპარაკებები მანამ არ განახლდება, სანამ ისრაელი მდინარე იორდანეს დასავლეთ

ნაპირზე მშენებლობას არ შეწყვეტს. თავის მხრივ, პალესტინის მოთხოვნას ისრაელიც არ ეთანხმება და მშენებლობის შეწყვეტას არ აპირებს.

ჯიჯი ანაჩიხისბან საზღვარო თვითმფრინავებს შიძენს

ერაყის პრემიერ-მინისტრის აპარატმა გააერცვლა ინფორმაცია, რომ ერაყი ამერიკის შეერთებული შტატებისგან 18 თვითმფრინავს შეიძენს. ხელშეკრულებაში, რომელზეც ორივე ქვეყნის წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი, მფრინავი აპარატების ლირებულზე საუბარი არ არის. ერთ-ერთი ამერიკელი მაღალჩინოსნის განცხადებით, ეს შენაძენი ერაყს 3 მილიარდ დოლარამდე დაუჯდება.

როგორც უკვე გადაწყდა, 2011 წლის 31 დეკემბერს ამერიკული სამხედრო ძალები ერაყს დატოვებენ. ქვეყნის სარდლობის განცხადებით კი, ამ მომენტამდე ერაყის საჰაერო ძალების გაძლიერება უმთავრესი პრიორიტეტია. ერაყი ჯერ კიდევ ივლისში 36 სამხედრო თვითმფრინავის ყიდვას გეგმავდა – ამის შესახებ მაშინ ერაყის პრემიერ-მინისტრმა ნური ალ-მალიკმა განაცხადა. მაშინ ერაყის მთავრობის ინფორმაციით, ერაყელი პილოტები მომზადებას ამერიკის შეერთებულ შტატებში გადიოდნენ. ■



რისთვის, ციტატები

18 წელი შესრულდა სოხუმის დაცემიდან

22 სექტემბერს საქართველოს პროფკავშირებმა მეთალურების საქმესთან დაკავშირებით პერმანენტული აქციები დაიწყეს

210 მილიონ დოლარად შეფასდა ატლანტის ოკეანის ფსკერზე II მსოფლიო ომის დროს ჩაძირულ ბრიტანულ გემზე აღმოჩენილი ვერცხლი

4,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა 27 სექტემბერს დმანისის სამხრეთ-დასავლეთით

20 კანდიდატი მონაწილეობს ყირგიზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში

200 ადამიანი დაშავდა შანხაიში მატარებლის ავარიის შედეგად

27 სექტემბერს გუბაზ სანიკიძის ეროვნულმა ფორუმმა „ქართველთა მარში“ გამართა

100 000 ადამიანი გაიყვანეს ფილიპინებში ალბების პროვინციიდან ტაიფუნის გამო

10 წვეპლთი ისჯება საუდის არაბეთში ქალბატონი, რომელიც კანონს დაარღვევს და მანქანის საჭეს მიუჯდება

2-3 ფინჯანი ყავა დღეში, ჰარვარდის სამედიცინო სკოლის კვლევების მიხედვით, ღებრესიას ამცირებს

7 სამოქალაქო პირი დაიღუპა ავღანეთში მომხდარი აფეთქების შედეგად

„სულ ვკითხულობ ყველას აზრს, ვზივარ Facebook-ზე, სხვადასხვა ვებგვერდებზე. მახსოვს, 22 წლის ანუკი წერდა – რა საშინელება იყო ის ქალი ანაკლიაში, რომ გაექანა და კომუნისტურად ჩავარდა ზღვაში. მერე ატყდა ამბავი, ამ ქალს დასცინიან, სხედან კაფეებში თბილისის ცენტრში და ებანძებათ ის ხალხი. სინამდვილეში, საკუთარ თავში მონახონ პრობლემა. კომუნისტურ დროში ანუკის არ უცხოვრია. მაშინ შეგვეკრებდნენ, წაგვიყვანდნენ – სკოლის მოსწავლე ვიყავი და ხშირად ვეპარებოდი, თუმცა მაინც მიყვავდი ხოლმე – საათობით გვატარებდნენ ტრიბუნის წინ და მკაცრად გვეუბნებოდნენ, რომ თუ ხელს არ დაუუქნევდით და ტაშს არ დავუკრავდით, პრობლემა შეგვექმნებოდა. ნახეთ ის კადრები და ნახეთ ის ქალბატონი, რომელსაც გულწრფელად უხაროდა მსოფლიოში ყველაზე მაგარი კურორტის გახსნა“.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.



„პოლიტიკის დაბალანსება ნიშნავს იმას, რომ მტრულად არ ხარ განწყობილი არცერთ მეზობელთან. ჩემს დროს მართლაც დაბალანსებული პოლიტიკა იყო წარმოებული. სააკაშვილის ადგილას რომ ვიყო, ასეთ კაცს ორდენით დავაჯილდოვებდი“.

ედუარდ შევარდნაძე „დრონი.ჯი“-სთან ინტერვიუში



„[რუსულ-აფხაზურ ურთიერთობაში] განსაკუთრებულ ადგილს იკავებს უსაფრთხოების დაცვის საკითხები, ეს განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებაში შენარჩუნებულია რევანშისტული განწყობები. აღსანიშნავია აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული, გაერთიანებული მე-7 სამხედრო ბაზის არსებობის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომლის ამოცანაცაა ჩვენი სახელმწიფოების სუვერენიტეტის და უსაფრთხოების დაცვა“.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე ვალენტინა მატვინენკო



„ევროპის საკრედიტო კრიზისი „მსოფლიოს აშინებს“.

ევროზონის ლიდერები კი საკმარისად სწრაფად არ მუშაობენ კრიზისის მოსაგვარებლად. ბოლო ერთი წლის მანძილზე აშშ-ის ეკონომიკის ვარდნა მსოფლიოში არსებულმა პრობლემებმა გამოიწვია, მათ შორის – „არაბული გაზაფხულის“ სახელით ცნობილმა მოვლენებმა, რამაც ენერგორესურსებზე ფასების ზრდა განაპირობა; აგრეთვე, ევროპის ქვეყნებში ფინანსურმა პრობლემებმა, განსაკუთრებით კი საბერძნეთის მდგომარეობამ“.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა



შესაკეთებელია შენი ქუჩა?



ჩვენს ვებ-გვერდზე თქვენ შეგიძლიათ განათავსოთ თქვენს ქუჩაზე არსებული შემდეგი პრობლემები:

- ჩამსხვრეული ლამპიონები და თავახდილი ჭები
- ორმოები და მონავი წყალსადენის მილები
- კანალიზაციის დაზიანება და ქუჩის განათება
- უკანონო ნაგავსაყრელი და მრავალი სხვა პრობლემა



www.chemikucha.ge

პროექტს ახორციელებს "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო"

როგორ განვითავსო ჩემს ქუჩაზე არსებული პრობლემა ვებ-გვერდზე?

- უნდა ეწვიო Chemikucha.ge-ს მთავარ გვერდს
- აირჩიო თბილისის ის უბანი, სადაც დაზიანებაა
- გამოიყენო რუკა და მონიშნო ადგილი/ქუჩა

როგორ ხდება ატვირთული პრობლემის მოგვარება?

- ვებ-გვერდზე ატვირთული პრობლემა ავტომატურად ეგზავნება თბილისის მერიას
- ქალაქის ადმინისტრაცია გადაწყვეტს პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზას
- ნებისმიერ განახლებას ატვირთული პრობლემის შესახებ მიიღებ ელ-ფოსტაზე

დაასკანირე ქვემოთ მოცემული კოდი SmartPhone-ით



Transparency International Georgia
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო



ქვეყნის
თანამშრომლობის
აგენტი



ფოტო: გიორგი ანუბანი

უნდა იყოს თუ არა სამხედრო ს...

პი

საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები ითხოვს, რომ ქვეყანას ჰქონდეს ადეკვატური უსაფრთხოების სისტემა და ჰყავდეს ძალები, რომლებიც გაუმკლავდებიან მონინალმდეგეს, ან პრევენციულად შეაჩერებენ.

თუკი სამხედრო სამსახური სავალდებულო არ იქნება, დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში, შესაძლოა მოქალაქეებმა წინ თავიანთი კარიერა და პირადი ცხოვრების უზრუნველყოფა დააყენონ. რის გამოც, დიდი ალბათობით, სამხედრო სამსახურის გავლის მსურველთა ძალიან დაბალ ციფრს მივიღებთ. ქვეყნის მიზნები და ამოცანები ითხოვს სამხედრო მოსამსახურეთა საკმაოდ მაღალ ციფრს. ამ ციფრის მისაღწევად კი სამხედრო სამსახური აუცილებლად სავალდებულო უნდა იყოს ყველასთვის.

ჩვენი პოტენციური მონინალმდეგე რუსეთია, რომელსაც მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს. თუ რუსეთის მხრიდან აგრესიას მოსალოდნელად განვიხილავთ, ჩვენ მზად

ირაკლი სესიაშვილი
უსაფრთხოების
პოლიტიკის ექსპერტი



უნდა გვყავდეს ადეკვატური ძალა მის მოსაგერიებლად. თანაფარდობა თავდასხმის შემთხვევაში სამი ერთთან მაინც უნდა იყოს. ანუ გამკლავება რომ შევძლოთ, რუსეთი მაქსიმუმ სამჯერ უნდა აღგვემატებოდეს. ჩვენ არსებული სამხედრო ძალები, 37 ათასი, არ გვყოფნის.

ჩვენი არმია უნდა გაეაძლიეროთ მრავალრიცხოვანი რეზერვით, რომელიც ნორმალურად უნდა იყოს მომზადებული. სულ მცირე, უნდა შეეძლოს იარაღის მოხმარება, მეთაურის ბრძანების შესრულება და დამოუკიდებლად მოქმედება. ეს რეზერვი მხოლოდ ერთ და ორ კვირაში ვერ მომზადდება. ამიტომ საჭიროა გარკვეული რესურსი არსებობდეს, რომე-

ლიც რამდენიმეთვიანი ჯარში მუშაობის შემდეგ ჩამოყალიბდება.

ჯარი მთლიანად საკონტრაქტო და სავალდებულო სამსახურის პირობებთან გათანაბრებული სავალდებულო სარეზერვო სამსახურებისგან უნდა შედგებოდეს. თუმცა ფაქტია, რომ დღევანდელი ერთწლიანი სავალდებულო სამხედრო სამსახური არაეფექტურია. სრულებით საკმარისი იქნება 4-5 თვიანი მომზადება, რომლის პირობებშიც ჩვენ 3-ჯერ და 4-ჯერ მეტ კარგად მომზადებულ რეზერვისტს მივიღებთ.

სამხედრო სავალდებულო სარეზერვო სამსახურის გავლის ვალდებულება უნდა ჰქონდეს ყველას, კანონში გათვალისწინებული მუხლების გამოკლებით. თუკი ქვეყანას ეყოლება 30 ათასი საკონტრაქტო მოსამსახურე და ამას დაემატება 300 ათასამდე სამხედრო სავალდებულო წესით მომზადებული რეზერვისტი სრულიად საკმარისი პოტენციური იქნება ქვეყნის უსაფრთხოებისთვის.




ჩხ სავადადუბუდო სამსახუხი?

არა

ცნობილი ფაქტია, რომ ფეხოსნების საბრძოლო აღჭურვილობის გამოსაყენებლად საჭირო უნარების გამომუშავებას ჯარისკაცი 1-2 თვეზე მეტს არ ანდომებს, სამხედრო სამსახურის დანარჩენი პერიოდი „პროფესიული კოდის“ შეთვისებას ხმარდება, რაც დისციპლინის გამომუშავებას, ფიზიკური მზაობას და აზროვნების საბრძოლო ამოცანების გადაჭრის რეჟიმში გადაყვანას გულისხმობს, რაც უწყვეტ ჩართულობას მოითხოვს, რამდენადაც ჩვეულებრივ გარემოში დაბრუნების შემდეგ, ეს უნარები ადვილად იკარგება.

შესაბამისად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სავალდებულო სამსახურგამოვლილი ნაკადის ხელახალი საბრძოლო მობილიზაციის შემთხვევაში, იმთავითვე ბრძოლისუნარიანი ნაწილის შეკვრა ვერ მოხერხდება – ამ შემთხვევაში, ადამიანი მხოლოდ „თოფიანი კაცია“ და არა ჯარისკაცი. მის საბრძოლო ერთეულად ქცევას კვლავ გარკვეული მომზადება, შესაბამისად, დამატებითი შრომა და ფინანსური სახსრები სჭირდება.

ირაკლი ხვადაგანი
ილიას უნივერსიტეტის
მაგისტრი



აქედან გამომდინარეობს სახელმწიფოების დიდი ნაწილის ლოგიკა – აქცენტი გაკეთდეს პროფესიულ სანყისებზე დაფუძნებულ არმიას, რომელიც მუდმივი მზაობის რეჟიმშია.

დღესდღეობით სახელმწიფო არ ამბობს უარს შეიარაღებული ძალების ყოლაზე. არმია პროფესიულ სანყისებზეა გადასული, მაგრამ კვალინდებურად არსებობს სავალდებულო წესით განვევა. მთავარი, რითაც სავალდებულო განვევის აუცილებლობას ასაბუთებენ – ტოტალური მობილიზაციის შემთხვევაში, იარაღის გამოყენების მცოდნე მასის არსებობის აუცილებლობაა. მაგრამ რამდენად გამართლებულია დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში წვევამდე-

ლი იძულებულია საქმიანობის ჩვეულებრივი რიტმიდან გამოვიდეს? სჭირდება იარაღის გამოყენების სწავლას 1 წელიწადი, წელიწადი და ნახევარი? რა აზრი აქვს ამ დროის ხარჯვას მაშინ, როცა ხელახალი მობილიზაციის შემთხვევაში დამატებითი (რეალურად ხელახალი) მომზადება აუცილებელი?

ჩვენთან სიტყვა „სამხედრო“-თი და პატრიოტული რიტორიკით მარტივი ექსპლუატაცია ინილება, რაც წვევამდებულის შრომის არასათანადოდ ანაზღაურებას გულისხმობს. დღეს, პრაქტიკულად, სავალდებულო სამხედრო სამსახური და ალტერნატიული შრომითი სამსახური ერთი და იგივეა, მაგრამ აქ „ექსპლუატაცია“ სწორედ იმას გულისხმობს, რომ ამ ფაქტობრივი შრომითი სამსახურის შედეგად მხოლოდ ერთი მხარე სარგებლობს, სახელმწიფო სახსრებს ზოგავს, ხოლო წვევამდელი კი არანაირ შრომით უნარებს, პროფესიას არ იძენს. უბრალოდ, დარაჯის ფუნქციას ასრულებს.

სამხედრო საქმე პირველ რიგში მონოდება, შემდეგ პროფესია და არავითარ შემთხვევაში ვალდებულება. ■

მისიის ბუნახებულება

მარკ მალენი



მისიის განკარგულება სამხედრო ტერმინია, რომელიც მენეჯმენტსა და ბიზნესში სულ უფრო მეტად გამოიყენება და რომელიც საქართველოსთვისაც გამოგვადგება.

აღნიშნული კონცეფციის ფარგლებში, სამხედრო ოფიცერს უნდა მისცენ ისეთი განკარგულება, რომლის მიხედვითაც კონკრეტული ქმედებები საბრძოლო სიტუაციამ უნდა უკარნახოს და არა ზემდგომმა ოფიცერმა. მაგალითად, მაიორმა შეიძლება დაავალოს კაპიტანს, რომ მისმა ჯარისკაცებმა დაიკავონ მტრის ბორცვი. მისიის განკარგულება იმას ნიშნავს, რომ მაიორი კაპიტანს დეტალურად არ აღუწერს იმას, თუ რა უნდა გააკეთოს, არამედ გააცნობს მისიის მნიშვნელობას და ზოგად სტრატეგიაში მისიის როლს. კაპიტანს უკვე ასწავლეს ყველაფერი, რაც მას მისიის შესასრულებლად სჭირდება. მას და მაიორს შორის უნდა დამყარდეს ღია კომუნიკაცია – ყველა კითხვას პასუხი უნდა გაეცეს. საბოლოო ჯამში, კაპიტანის გადასაწყვეტი იქნება, ბორცვის დასაკავებლად კონკრეტულად რომელ სტრატეგიას აირჩევს.

როდესაც გერმანია ნაპოლეონთან ომში დამარცხდა, გერმანელებმა დამარცხების სავარაუდო მიზეზებზე ფიქრი დაიწყეს და აღმოაჩინეს, რომ ბრძოლის სწრაფი მიმდინარეობის დროს, მათ მკაცრად იერარქიულ სტრუქტურას ეფექტური კომუნიკაციის გაბმა უჭირდა. ისინი მიხვდნენ, რომ მათ სჭირდებოდათ ქვედა რგოლის ოფიცერებისთვის მეტი ძალაუფლებისა და გადაწყვეტილების მიღების უფლების მინიჭება. შედეგად, გერმანელებმა მთელი თავიანთი სამხედრო სტრუქტურა შეცვალეს. ახალ რე-

ფორმებს განსაკუთრებით ცნობილი სამხედრო სტრატეგოსი ფონ კლაუზევიცი უჭერდა მხარს.

საჯარო პოლიტიკაში, ამავე იდეას სუბსიდირების ცნება გამოხატავს, რომელსაც ყველაზე ხშირად ევროკავშირის ლეგალურ დოქტრინაზე საუბრისას იყენებენ. ამ კონცეფციის მიხედვით,

ნებისმიერი პოლიტიკა ყველაზე მცირე თვითმმართველობის ერთეულმა (ყველაზე მცირე ტერიტორიის, ან ხალხის ყველაზე მცირე რაოდენობის მქონემ – ერთი სიტყვით, მოქალაქესთან უფრო ახლოს მყოფმა) უნდა განახორციელოს. ეს ცენტრალიზაციის საპირისპირო ცნებაა.



კომპანიების მენეჯმენტში ამ იდეის გამომხატველი საყოველთაოდ მიღებული ტერმინი არ არსებობს, თუმცა ყველაზე ხშირად მის გამოსახატავად ტერმინ „უფლებით აღჭურვას“ იყენებენ. წარსულში, როდესაც ადამიანები და ინფორმაცია უფრო ნელა მოძრაობდნენ, სამრეწველო პროდუქცია, ძირითადად, ეფექტურობაზე იყო დამყარებული, რაც ხარჯების ეფექტიანობას გულისხმობდა. ბოლო წლებში, როდესაც უფრო მეტი სანარმო აწარმოებს გაცილებით უფრო მეტ პროდუქტს, დიდი ფული ციფრულ ტექნოლოგიებში არის ჩადებული, ინფორმაციის ფაილები მსოფლიოს გარშემო სინათლის სიჩქარით მოძრაობენ, გამარჯვებულები ხდებიან ისინი, ვისაც ინოვაციის უნარი აქვს. ინოვაცია, ანუ გაუმჯობესების უნარი, მისიის განკარგულებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

რას ნიშნავს ეს საქართველოში და საქართველოსთვის?

საჯარო და ბიზნეს სექტორის მენე-

როდესაც გერმანია

ნაპოლეონთან ომში

დამარცხდა, გერმანელებმა

დამარცხების მიზეზებზე ფიქრი

დაიწყეს და აღმოაჩინეს, რომ

ბრძოლის დროს, მათ მკაცრად

იერარქიზებულ სტრუქტურას

ეფექტური კომუნიკაციის

გაბმა უჭირდა. მისხდნენ,

რომ სჭირდებოდათ ქვედა

რგოლის ოფიცრებისთვის

მეტი ძალაუფლებისა და

გადანყვეტილების მიღების

უფლების მინიჭება.

შედეგად, გერმანელებმა

მთელი თავიანთი სამხედრო

სტრუქტურა შეცვალეს.

ჯერებმა საკუთარ თავს გარკვეული კითხვები უნდა დაუსვან: ყოველთვის ფიქრობ, რომ ყველა შენი ხელქვეითი სულელია? არასდროს აკეთებენ დავალებებს ისე, როგორც შენ გინდა, რომ გააკეთონ? შენს ხელქვეითებს არ ესმით შენი ხედვა – ის, თუ როგორ გინდა, რომ შესრულდეს დავალება? ფიქრობ, რომ სჯობს შენი მეგობრები დაიქირავო, ვიდრე ისინი, ვისაც საქმე ესმით, იმიტომ, რომ შენს მეგობრებს, სულ მცირე, ენდობი მაინც? გამუდმებით იმედგაცრუებული ხარ შენი ხელქვეითების მუშაობის ხარისხით? თუ ასეა, მაშინ შენს მენეჯერულ საქმიანობაში მისიის განკარგულების პრინციპები უნდა დანერგო.

ასევე ხელქვეითებმაც უნდა დაუსვან საკუთარ თავს კითხვები: ფიქრობ, რომ შენი ბოსი არასდროს არის კმაყოფილი და ნათლად არ გამოხატავს, რა უნდა? რაც მას სურს, მუდმივად და გაუფრთხილებლად იცვლება? არ არსებობს არანაირი ლოგიკა იმაში, თუ რა უნდა მას შენგან – თითქოს ზემოდან წამოსული მოლოდინების დაუსრულებელი ნაკადის ქვეშ იდგე? გაქვს ნათელი ხედვა იმისა, თუ რა არის შენი მიზანი ან ამოცანა მუშაობისას? შენი ბოსი უპირატესობას ანიჭებს იმათ, ვინც მოსწონს და ვისაც ენდობა, იმათთან შედარებით, ვინც კომპეტენტურები ან ჭკვიანები არიან? არის ინფორმაციის, კომუნიკაციის ან იმის შეგრძნების დანაკლისი, რომ ერთ გუნდში მუშაობთ? მაშინ შენს ბოსს მისიის განკარგულების პრინციპები გამოადგება.

ამ კონცეფციას საბჭოთა კავშირში დიდ პატივს არ სცემდნენ, რადგან მაშინ სახელმწიფო ყველაფერს თავად ფლობდა და თავის საქმეზე ცოტა ადამიანი ფიქრობდა. პირადი ცხოვრება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საჯარო. დღეს სამსახურს ენიჭება უპირატესობა, მაგრამ ზოგჯერ ძველი ეპოქის ჩვევები მაინც რჩება ხოლმე. მათაც კი, ვისაც აქვს ნათელი და დეტალური ხედვა იმისა, თუ რა უნდა და მიზნის მიღწევის დიდი სურვილიც, არ იცის, თუ როგორ წარმართოს ორგანიზაცია მიზნის მისაღწევად. [E]

იკითხატი

ლიბერალის პორტალზე

www.liberali.ge

ზაალ ანდრონიკაშვილის გლოგი გმირთა ვარაში ანუ ლიბერ'თარიანელის გაჭირვება

არ აგერიოს ლიბერტარიანელობაში, იმასთან საერთო ამ ექსკლუზიურად ქართულ ლიბერ'თარიანელობას დაახლოებით იმდენივე აქვს, რამდენიც თანამედროვე ქართულ მართლმადიდებლობას – მართლმადიდებლობასთან კერძოდ და ქრისტიანობასთან ზოგადად. ჯერ ერთი იმას ვგულისხმობ, რომ ეს ლიბერ'თარიანელობა რელიგიური ხასიათისაა, ანუ რწმენის საქმე უფროა, ვიდრე გონებისა და მეორეც იმას, რომ ამ რელიგიური ორგანიზაციის კანონიკურ ტექსტებს ერთი ან ორი ადამიანი თუ იცნობს, დანარჩენები კი „გადმოცემით“ ქადაგებენ.




გაჟა დავითულიანის გლოგი „ეს ჩემი სამშობლოც არის, მარტო მათი არა“

სუპერტაკლი დასრულდა. მსახიობები ტაშით აავსეს და სცენაზე გამოიჩნდა თვით რობერტ სტურუა. დარბაზი ოვაციებით დაინგრა. სენტიმენტალურ ხასიათზე მყოფი რუჟისორი, კულისებში შებრუნდა და „ბისზე“ პიესის ავტორ თამაზ ჭილაძესთან ერთად „როდინა მატ ზავეტ“ პოზით გამოგვეცხადა.

ხელისუფლების "სამეასნიხო ახბამენახით" ბამახთილების შესახებ

გიორგი ცხადაია
ილიას უნივერსიტეტის
პოლიტიკური
მეცნიერების
მაგისტრანტი



პოლიტოლოგმა გია ნოდამ დაწერა ანგარიში სახელწოდებით „დემოკრატიის კრიზისი საქართველოში? დემოკრატიული კონსოლიდაციის ხედვა, გზები და რესურსები“. ანგარიშის პრეზენტაცია 21 სექტემბერს „კავკასიურ ინსტიტუტში“ გაიმართა და მას, სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მეც ვესწრებოდი. ქვემოთ მოგახსენებთ ჩემს კრიტიკულ მოსაზრებებს ამ ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც, ნაწილობრივ, პრეზენტაციის შემდგომ გამართულ დისკუსიაზეც გამოვთქვი.

ნოდის თქმით, საქართველოში დემოკრატიის დეფიციტზე პოლიტიკის ყველა წამყვანი ექსპერტი, ოპოზიცია და თვით საქართველოს ხელისუფლებაც კი თანხმდება. კომპეტენტურ და დამოუკიდებელ ექსპერტთა უმრავლესობა, ავტორის მიხედვით, საქართველოს აფასებს, როგორც „ჰიბრიდულ რეჟიმს“, რომელშიც დემოკრატიისა და ავტორიტარიზმის ელემენტები ერთმანეთთან არის შერწყმული. ნოდის მთავარი კითხვა შემდეგია: „როგორ უნდა გამოვიდეს საქართველო „ჰიბრიდული რეჟიმის“ მდგომარეობიდან და მყარ, კონსოლიდირებულ დემოკრატიად იქცეს?“

დასაწყისიდანვე ირკვევა, რომ ანგარიშის მიზანი კონკრეტულ რეკომენდაციებზე მსჯელობაა. ამიტომ, ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ ვისთვის იქნება ეს რეკომენდაციები განკუთვნილი: ხელისუფლებისთვის, სამოქალაქო საზოგადოებისა თუ ოპოზიციისთვის? ამ კითხვას ნოდია შემდეგნაირი ინტერპრეტაციით აყალიბებს: „ვინ აგებს პასუხს დემოკრატიზაციის პროცესზე: საზოგადოება თუ ხელისუფლება?“ და ამ კითხვაზე იგი, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურად პასუხობს. მისი აზრით, ის, რომ დემოკრატიის ნაკლებობაში ხელიუფლებაა დამნაშავე, მცდარია. ნოდია

მოგვიანებით ამატებს, რომ „კონსოლიდირებული დემოკრატიის გრძელვადიან პერსპექტივებს ხელისუფლების კეთილნებაზე ვერ დავაფუძნებთ“ და „წარმატებული დემოკრატიზაციის მაგალითები გვიჩვენებს, რომ ლიბერალური დემოკრატიის ინსტიტუტების შექმნა, როგორც წესი, სხვადასხვა – მათ შორის, ურთიერთდაპირისპირებული – პიროვნებების თუ ჯგუფების ერთობლივი ძალისხმევით ხდება“.

სწორედ ამ მონაკვეთში ვაწყდებით ნოდის ანგარიშის მთავარ სისუსტეს: ნორმატიული და აღწერითი მსჯელობის ერთმანეთთან აღრევას. ნარკვევის დასაწყისში, როგორც უკვე აღვნიშნე, საერთოდ გაურკვეველია, ვის მიმართ არის რეკომენდაციები განკუთვნილი, მაგრამ ტექსტს რაც უფრო დეტალებში მივყვებით, ეს გაუგებრობაც მით უფრო მძაფრდება.

დავინწყით იმით, თუ რას გულისხმობს ნოდია, როდესაც ცდილობს გაარკვიოს, თუ ვინ არის დემოკრატიის ნაკლებობაში დამნაშავე. როგორი ტიპის დანაშაულზე საუბრობს ცნობილი პოლიტოლოგი – მორალურ დანაშაულზე? თუ საუბარი მორალურ დანაშაულზეა, მაშინ საქმე ნორმატიულ მსჯელობასთან გვაქვს და ამ კონტექსტში იმის თქმა, რომ დემოკრატიის ნაკლებობა-

ში ხელისუფლება დამნაშავე არ არის, სრულიად აბსურდული გამოდის. წარმოიდგინეთ, ამ ლოგიკით რას მივიღებთ მაგალითად, ჩინეთში. ავტორიტარიზმში ჩინეთის ხელისუფლება კი არ გამოდის დამნაშავე, არამედ ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება. ცხადაია, რომ ნორმატიული მსჯელობის დროს, ავტორიტარული ხელისუფლების უდანაშაულობაზე საუბარი სრულიად აბსურდულია.

ამაზე ნოდია შეიძლება შეგვეკამათოს და აშკარად ნორმატიული დატვირთვის მქონე ფრაზების (რომლებშიც „დამნაშავეებზე“ და „ბრალზე“ საუბარი) გამოყენების მიუხედავად, თქვას, რომ იგი ნორმატიულ მსჯელობას კი არ მიმართავს, არამედ სიტუაციის აღწერას ცდილობს. მაშინ საერთოდ გაუგებარია, თუ რაში გვჭირდება აღწერითი მსჯელობის დროს ასეთი კითხვის დასმა: „ვინ აგებს პასუხს დემოკრატიზაციის პროცესზე: საზოგადოება თუ ხელისუფლება?“

ნოდია ერთმანეთისგან მკაცრად განარჩევს „აქტორების მიდგომასა“ და „სტრუქტურულ მიდგომას“. „აქტორების მიდგომა“, მისი თქმით, იმის დაშვებას გულისხმობს, რომ დემოკრატიის პოლიტიკური და სამოქალაქო აქტორების ქმედებები განაპირობებენ, სტრუქტურული მიდგომის მიხედვით კი დე-

მოკრატისის შექმნისთვის ობიექტური წინაპირობებია საჭირო (მოდერნიზებული ეკონომიკა, განათლების მაღალი დონე და ა.შ.).

ნოდია ცდილობს, რომ ნარკვევში „აქტორების მიდგომას“ გვერდი მაქსიმალურად აუაროს და მხოლოდ დემოკრატიის სტრუქტურულ წინაპირობებზე ისაუბროს. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ იგი თავისი, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის, პოზიციის გამოხატვას ერიდება. თუ ნოდია თავის, როგორც სამოქალაქო აქტორის, პოზიციაზე ისაუბრებს, მაშინ ნორმატიულ მსჯელობებს გვერდს ვეღარ აუვლის და ხელისუფლებასთან, ან ოპოზიციასთან კონფრონტაცია მოუწევს.

როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები სხვადასხვა ქვეყნებში დემოკრატიას აანალიზებენ, ისინი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ადამიანის უფლებებსა და ხელისუფლების გადაცდომებზე საუბრობენ. მაგალითად, ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციის „ფრიდომ ჰაუსის“ ყოველწლიურ ანგარიშებს თუ წაიკითხავთ, ნახავთ, რომ ძირითადი აქცენტი ადამიანთა უფლებების დარღვევაზე კეთდება. ასევე, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ მოხსენებაშიც, დემოკრატიის შეფასება, უმთავრესად, ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეფასებას გულისხმობს.

ნოდის ანგარიშში საკითხის ნორმატიული ასპექტი – ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის შეფასება მეორე პლანზე გადადის და მთავარი აქცენტი დემოკრატიის დეფიციტის „ობიექტურ მიზეზებზეა“ გადატანილი.

პოლიტიკის მეცნიერებაში სოციალური მოვლენების – მაგალითად, რომელიმე ქვეყანაში დემოკრატიის ნაკლებობის ობიექტური მიზეზების კვლევა მიღებულ საქმიანობად ითვლება. ამავდროს, მეცნიერები როდესაც მსგავს

მოვლენებს იკვლევენ, არავითარ შემთხვევაში არ ამტკიცებენ იმას, რომ მათი ეს მსჯელობა რამენაირად ავტორიტარიზმის გამართლებას უდრის. ისინი უბრალოდ იმის ახსნას იძლევიან, თუ რატომ არ არის ქვეყანაში დემოკრატია. მაგალითად, რომელიმე მეცნიერი შეიძლება დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ნორმალურად თვლიდეს ჩინეთში ავტორიტარული რეჟიმის არსებობას, მაგრამ ეს არამც და არამც არ გულისხმობს იმას, რომ ეს მეცნიერები საჯაროდ, ანუ აკადემიის ფარგლებს გარეთ ავტორიტარიზმს უჭერენ მხარს.

როგორც ჩანს, ნოდისაც ამ თემაზე სწორედ სამეცნიერო ნაშრომის დაწერა

სურდა, მაგრამ მხედველობიდან გამორჩა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ეგიდით, ქვეყანაში დემოკრატიის შეფასების ანგარიშს აკეთებდა. სამწუხაროდ, ისე გამოვიდა, რომ მან ვერ გამოიჯნა ნორმატიული მსჯელობა (რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი უნდა ეწოდეს) ალწერიითი მსჯელობისგან (რომელსაც დემოკრატიაზე საუბრისას პოლიტიკის მეცნიერები მიმართავენ).

ისიც სავსებით შესაძლებელია, რომ ნოდამ თავის ანგარიშში ალწერიითი და ნორმატიული მსჯელობები ერთმანეთში განგებ აურია და შეეცადა, რომ დემოკრატიის დეფიციტის ობიექტურ მიზეზებზე საუბრით, ხელისუფლების პოზიცია გაემართლებინა ან ხელისუფლების პასუხისმგებლობა დაეკნინებინა. ამ ეჭვს ყველაზე მეტად ის ფაქტი აღრმავებს, რომ ანგარიშში გარკვეული არ არის, თუ ვის აკრიტიკებს ავტორი: ხელისუფლებას, ოპოზიციას თუ სამოქალაქო საზოგადოებას.

ანგარიშში ასევე, ერთ-ერთ რეკომენდაციად შემოთავაზებულია ე.წ. „თანმიმდევრული ნაბიჯების“ თეორია, რომელიც დემოკრატიის თანმიმდევრობით – ნაბიჯ-ნაბიჯ

დამყარებას გულისხმობს. ამ თეორიის მიხედვით, დემოკრატიას წინაპირობად „ობიექტური პირობები“ სჭირდება, რომელიც მეცნიერულად გაზომვადია. გამოდის, რომ ნარკვევის სათაურში დასმულ ნორმატიულ კითხვებზე პასუხიც ამ „ობიექტურ პირობებში“ უნდა ვეძებოთ – ანუ დაველოდოთ, სანამ ხელისუფლება მოდერნიზაციას მოახდენს და შემდეგ მოვითხოვოთ დემოკრატია.

სამეცნიერო მსჯელობის ნორმატიულ მსჯელობასთან ასეთმა დაუდევარმა აღრევამ შეიძლება მხოლოდ ის გვაფიქრებინოს, რომ ნოდია სამოქალაქო და პოლიტიკურ დისკუსიებში ერთი კონკრეტული აქტორის – ხელისუფლების გამართლებას სამეცნიერო არგუმენტების გამოყენებით ცდილობს. **■**



■ შესაძლებელია, რომ ნოდამ თავის ანგარიშში ალწერიითი და ნორმატიული მსჯელობები ერთმანეთში განგებ აურია და შეეცადა, რომ დემოკრატიის დეფიციტის ობიექტურ მიზეზებზე საუბრით, ხელისუფლების პოზიცია გაემართლებინა ან ხელისუფლების პასუხისმგებლობა დაეკნინებინა.

"ჯინის" ეფექტი

ინტერვიუ ეკონომიკური
პოლიტიკის კვლევითი ცენტრის
პრეზიდენტთან,
ვლადიმერ უგულავასთან

გასულ კვირას ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითმა ცენტრმა „ჯინი“ – შემოსავლების უთანაბრობის სტატისტიკური კვლევა – გამოაქვეყნა. თავდაპირველად გვიამბოთ კვლევის მეთოდოლოგიაზე და იმაზე, თუ რატომ გადაწყვიტეთ „ჯინის“ შესწავლა.

მეთოდოლოგიას რაც შეეხება, ჩვენ ავიღეთ საქსტატის ოფიციალური მონაცემები, გვინდოდა, მათთვის ერთად მოგვეყარა თავი კვარტლების მიხედვით და პოპულარულ ენაზე მოგვეყვალა.

საქართველოში არ არსებობს რესურსი, რომელიც თავს მოუყრიდა მონაცემებსა და ტენდენციების ანალიზს. რასაც საქსტატი აკეთებს, ეს უბრალოდ მშრალი ეკონომიკური ინფორმაციაა.

გვინდა მსგავსი მონაცემები უფრო გასაგები გავხადოთ და მკითხველს პოპულარულ ენაზე მივანოლოთ. წლის განმავლობაში კიდევ სამი პროექტი იგეგმება, რათა მერე საშუალება მოგვეცეს დინამიკაში დავინახოთ ეკონომიკის ტენდენციები.





კვლევის შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ „ჯინი“ საქართველოში სათანადოდ არ შეისწავლება. რატომ არის მისი შესწავლა მნიშვნელოვანი?

„ჯინის“ შესწავლა საინტერესოა ეკონომიკური ზრდის გასაანალიზებლად. ეკონომიკური ზრდა ბევრი კომპონენტისგან შედგება. მსგავსი კომპონენტები შემოსავლის გადანაწილების კოეფიციენტი „ჯინი“ და საშუალო ფენის არსებობა-არარსებობის საკითხი საზოგადოებაში. ეს კომპონენტები მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე დიდ გავლენას ახდენენ ისევე, როგორც ინფლაციასა და უმუშევრობაზე. ამიტომ საინტერესოა იყო, აგველო ეს კოეფიციენტი, რათა საშუალება მოგვცემოდა, სხვა ქვეყნებისთვისაც შეგვედარებინა საქართველოს მაჩვენებელი და სამომავლოდ დასკვნები გაგვეკეთებინა.

რა დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა თქვენი კვლევა?

ამ ეტაპისთვის ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში საშუალო ფენა არის საკმაოდ მცირე. ეს იმას ნიშნავს, რომ მთლიან ეკონომიკასთან შედარებით საშუალო და მცირე ბიზნესი განუვითარებელია, რაც ქვეყნის ზრდისთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლება იქნება.

ჩვენი მონაცემები ახლოსაა ისეთი ქვეყნების მონაცემებთან, როგორიცაა რუსეთი, თურქეთი და სამხრეთამერიკული ქვეყნები, რაც ქვეყანას კარგ პერსპექტივას არ უქადის. აქედან გამომდინარე, საჭიროა ისეთი ზომების გატარება, რომელიც საშუალო ფენის ზრდას განაპირობებს.

ამ კონკრეტული კვლევის მომზადებისას რა მასალები და მონაცემები გამოიყენეთ?

ძირითადად არის ოფიციალური მონაცემები, საქსტატის, სამინისტროების, ეროვნული ბანკის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული. სხვა ინფორმაციას ჩვენ არ დავყვარდნობით. ჩვენ არ ვაპირებთ ალტერნატიული სტატის-

ტიკის გამოყენებას, ამის რესურსი არ არსებობს.

თუ თქვენი კვლევებისთვის მხოლოდ ოფიციალურ მონაცემებს იყენებთ, მაშინ რა არის განსხვავებული თქვენს ანგარიშში და რა მიზანს ემსახურება ის?

ალტერნატიულ მონაცემებს ძალიან დიდი რესურსი სჭირდება. ეს ძალიან დიდი ცენტრების ფუფუნებაა. ეკონომიკა არ არის ალგებრა, ერთი და იგივე ციფრი შესაძლოა სხვადასხვანაირად დაინახო. ეს არის ინდივიდთა ურთიერთქმედება მეტი მოგების მიღების მიზნით. ანუ ერთი მოვლენა საშუალებას იძლევა რამდენიმე სხვადასხვა საინტერესო კუთხიდან დაინახო.

■ თუ ქვეყანაში შემოსავალი ისეთი ბიზნესებიდან

გენერირდება, რომელიც გადანაწილებულია

ხალხის მცირე ჯგუფზე, ეს

ინვესტორებს რაღაცა ჯგუფის

გამდიდრებას და რაღაცა

ჯგუფზე არანაირ ზეგავლენას

არ ახდენს. ანუ ვერ

ნაწილდება თანაბრად.

მე თუ გეტყვით, რომ ინფლაცია არის 13 პროცენტი, თქვენ ეს არაფერს გაძლევთ, თუ არ გითხარით რამდენი იყო იგივე მაჩვენებელი, ვთქვათ, შარშან. ციფრების გადაცემაც შესაძლოა საინტერესოდ მოხდეს. მე შემიძლია ეს ინფორმაცია მოგანოლოთ ცხრილად პერიოდების და ციფრების მიხედვით, რომელშიც ბევრი ვერაფერს გაიგებს, მაგრამ შემიძლია ეს ავხსნა ისე, რომ არაეკონომისტისთვისაც გასაგები იყოს.

ჩვენი მიზანია ციფრების ანალიზი გასაგებ ენაზე მოგანოლოთ.

კვლევის თანახმად, შემოსავლის უთანასწორობის მაჩვენებელი საქართველოში 40-ს უთანაბრდება, რაც მაღალი მაჩვენებელია. რა ინვესტორებს მსგავს უთანასწორობას?

ზოგადად შემოსავლების უთანასწორობას ბევრი მიზეზი აქვს, ერთ-ერთი ასეთი მიზეზი შეიძლება შემოსავლის წყარო იყოს. ანუ, ის თუ საიდან გენერირდება შემოსავალი.

თუ ქვეყანაში შემოსავალი ისეთი ბიზნესებიდან გენერირდება, რომელიც გადანაწილებულია ხალხის მცირე ჯგუფზე, ეს ინვესტორებს რაღაცა ჯგუფის გამდიდრებას და სხვა ჯგუფზე არანაირ ზეგავლენას არ ახდენს. ანუ ვერ ნაწილდება თანაბრად.

არსებობს სხვა მიზეზებიც, თუმცა რადგანაც ასეთი შედეგი გვაქვს, ეს უკვე ნიშნავს, რომ კონკრეტული ნაბიჯები გადასადგმელი იმისათვის, რომ შემოსავალი უფრო ფართო მასებისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

მსგავსი ნაბიჯი შეიძლება იყოს დასაქმების პროექტები, სახელმწიფო ხარჯების შემცირება, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა. მასებს ასევე ხელი უნდა მიუწვდებოდეს ისეთი სიკეთებისადმი, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა და სოციალური უსაფრთხოება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, უთანასწორობის მაღალი მაჩვენებელი, შეიძლება ქვეყნის განვითარებისთვის დამაბრკოლებელი ფაქტორი გახდეს.

ჩვენთან რა წყაროებიდან გენერირდება შემოსავლები?

ჩვენთან, ძირითადად, დიდი ბიზნესები დომინირებენ, ეკონომიკაში მთლიანად, დიდი ბიზნესების წვლილი უფრო მეტია.

არსებობს „კაპიტალიზმის“ და „მუშახელის“ ბიზნესები. ჩვენთან უფრო განვითარებულია კაპიტალიზმის ბიზნესები, სადაც დიდი კაპიტალით დიდ ფულს აკეთებ. ქვეყანაში მსგავსი ბიზნესების არ-

სებობა აუცილებელია, მაგრამ ასევე უნდა გქონდეს ისეთი ბიზნესები, სადაც გჭირდება უფრო მეტი მუშახელი და მუშახელზე აკეთებ ფულს. ასეთი შეიძლება იყოს მომსახურების სფერო, სოფლის მეურნეობა, მცირე ბიზნესის საწარმოები და ტურიზმი.

ამიტომ უნდა მივაქციოთ ყურადღება ისეთი ბიზნესების განვითარებას, რომელიც ნაკლები ფულით და მეტი მუშახელით შეიძლება ფულის გენერირებას.

შედარებისთვის, დაახლოებით იგივე მაჩვენებელი აქვთ თურქეთს და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს. რა დასკვნების გაკეთება შეიძლება აქედან?

ზოგადად, რაც უფრო მაღალია „ჯინის“ კოეფიციენტი, მით უარესია ეკონომიკური მდგომარეობა, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ იდეალურ ნულოვან ნიშნულზე არცერთი ქვეყანა არ არის. საუკეთესო მაჩვენებელი სკანდინავიის ქვეყნებს აქვთ, სადაც ეს კოეფიციენტი 25-ია. ყველაზე მაღალი მაჩვენებლით, აფრიკის ქვეყნები გამოირჩევიან. იქ ჯინი 70-ს უთანაბრდება.

ცხადია, ნებისმიერ საზოგადოებაში არის ლარიბების და მდიდრების ფენა, მაგრამ მათ შორის აუცილებლად უნდა არსებობდეს საშუალო ფენაც.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიმუშავეთ რაიმე რეკომენდაციები ეკონომიკური პოლიტიკის შემქმნელებისთვის?

რაც ჩვენ შევიმუშავეთ, ეს არის ზოგადი რეკომენდაცია. როდესაც ჩვენ კითხვას ვსვამთ, ეს უკვე თავისთავად უნდა იყოს საბაზი პოლიტიკის შემქმნელებისთვის, რათა თვითონ დაფიქრდნენ ამ საკითხებზე.

თქვენი დაკვირვებით, რამდენად თანმიმდევრულია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა?

სახელმწიფო პოლიტიკის თანმიმდევრულობის დამამტკიცებელი შედეგი ჯერჯერობით არ გვაქვს. საგადასახადო ბალანსი იზრდება, უმუშევრობის მაჩვენებელი არ არის სახარბიელო,

ისევე, როგორც ინფლაციის მაჩვენებელი.

ერთი მხრივ, არის სახელმწიფოს გაცხადებული პოლიტიკა, შეუერთდეს ევროკავშირს, მეორე მხრივ, ქვეყნის პირველი პირები, ეკონომიკის განვითარების სინგაპურის მოდელზე საუბრობენ. თქვენი აზრით, რომელი მოდელია საქართველოსთვის მისაღები?

ამ საკითხის დეტალური ანალიზი არ გაგვიკეთებია, თუმცა, ჩემი აზრით, ევროკავშირში განევრიანება პანაცეა არ უნდა იყოს. იმიტომ, რომ ევროკავშირის პოლიტიკა სოციალისტურია, მოიცავს სუბსიდებს, როტაციებს, ახასიათებს დიდი გადასახადები, რაც უკვე განვითარებული ქვეყნების ფუფუნებაა.

ჩვენი ეკონომიკისთვის უფრო მისაღები სინგაპურის მოდელია, ანუ დამოუკიდებელი განვითარების მოდელი, ვიდრე ევროკავშირთან ინტეგრაციის მოდელი.

განვითარებადი ქვეყნისთვის სინგაპურის მოდელი უფრო მომგებიანია. შეგვიძლია პოლიტიკურად წავიდეთ ევროკავშირისკენ, მაგრამ ეკონომიკური სარგებლიანობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. თუნდაც ევროკავშირში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გავისხენოთ.

ევროკავშირის წარმომადგენლები ამბობენ, რომ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა არის არათანმიმდევრული და რომ მისი ეკონომიკური პოლიტიკა ევროკავშირის რეგულაციებთან შეუსაბამოა. იზიარებთ ამ მოსაზრებას?

ევროკავშირთან ინტეგრაცია ეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან ნაადრევია. სასიკეთოს არაფერს მოგიტანს ამდენი რეგულაცია. ჩვენ ახლა გვჭირდება ისეთი პოლიტიკა, რომელიც სწრაფად განვითარების საშუალებას მოგვცემს, რომ თუნდაც ევროკავშირს გავუტოლდეთ შემოსავლით ერთ სულ მოსახლეზე, ან გავუტოლდეთ იმავე შემოსავლების გადანაწილებით.

რაც ნიშნავს, რომ ევროკავშირში გაერთიანება რალაც პერიოდით უნდა გადავადდეს თუ საერთოდ უარი ვთქვათ მასზე?

გზა, რასაც ევროკავშირი გვთავაზობს, არ მოგცემს საშუალებას, რომ სწრაფად განვითარდე. რადგან ბოლო 60 წელია, ევროკავშირის არცერთი ქვეყანა სწრაფად განვითარებული არ ყოფილა. ყველა მივიდა რალაც დონემდე და მერე გაერთიანდნენ. ყველამ ამ განვითარების სხვადასხვა გზა გაიარა. ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს თავიანთი ეკონომიკის ერთმანეთში ინტეგრაცია, რასაც, საბოლოო ჯამში, კრიზისამდე მივყავართ.

ჩვენ გვჭირდება ფიქრი განვითარებაზე, რათა თუნდაც შემოსავლებით ევროკავშირის დონემდე მივიდეთ. 100 წლის მერე, თუ თავად ევროკავშირი იარსებებს, შესაძლოა აქტუალური თემა იყოს მასში გაერთიანება.

თუმცა, პოლიტიკური დაახლოება ეკონომიკურისგან დამოუკიდებლად არ ხდება.

რა თქმა უნდა, არ ხდება, ამიტომ მიმაჩნია, რომ საქართველოს საკუთარი განვითარების მოდელი უნდა ჰქონდეს. მაგალითად შეიძლება თურქეთი ავიღოთ, სადაც ტურიზმი და მომსახურების სფერო ძალიან სწრაფად განვითარდა. დღეს კი მონინავე ქვეყანაა.

საქართველოს შემთხვევაში, რა შეიძლება მსგავსი სფერო იყოს? რა არის საქართველოს ნიშა?

არ ვიცი, რა შეიძლება იყოს ჩვენი ნიშა. ეს ჯერ კიდევ კარგად დასათვლელია. გასაკეთებელია ანალიზი, თუ რაში შეიძლება იყოს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა, რა შეიძლება იყოს ქვეყნის კომპეტენცია. ინსტინქტურ დონეზე შესაძლოა ჩათვალოს, რომ ასეთი ნიშა არის იგივე ტურიზმი, თუმცა ამას ღრმა ანალიზი სჭირდება. ამ მხრივ, უშიშროების საბჭოსთანაც ვმუშაობთ, რომ გამოვკვეთოთ, რა შეიძლება იყოს ეს მიმართულებები. **■**

ესაუბრა ნანა საჯაია.

ავლანუხი ბზა

11 სექტემბრიდან 10 წლის შემდეგ, აშშ-ის საელჩოს მიერ ორგანიზებული ტურის ფარგლებში ბრიუსელის „ნატოს“ შტაბ-ბინასა და ავლანეთში, ჟურნალისტებს 6 სხვადასხვა ქვეყნიდან (ავსტრალია, ესპანეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ხორვატია და საქართველო) საშუალება მოგვეცა, გავცნობოდით რეალურ ვითარებას და ინფორმაცია პირველწყაროებიდან, ადგილზევე მიგვეღო. არაბული გაზაფხული, სირიაში მიმდინარე მოვლენები, პუტინის ხელახალი გაპრეზიდენტება, ეკონომიკური კრიზისი და ტერორიზმი, „ალ-ქაიდა“ და თალიბები – მშვიდობიან მოსახლეობაზე გამუდმებული თავდასხმები – მსოფლიო უსაფრთხოებისთვის სერიოზული გამოწვევებია. ამ მხრივ ავლანეთი კვლავაც ყურადღების ეპიცენტრში რჩება.

გიორგი ცხვიტავა, „ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის“ ხელმძღვანელი

10–11 და 12 სექტემბერი ავლანეთში შედარებით მშვიდი იყო, თუმცა ვითარება 13-სექტემბერს კარდინალურად შეიცვალა, ქაბულში აშშ-ის საელჩოზე, აისაფ-ის შტაბ-ბინაზე და ავლანეთის პრეზიდენტის სასახლეზე განხორციელებული თავდასხმა უკვე შეფასდა, როგორც ბოლო ათი წლის მანძილზე ყველაზე კოორდინირებული შეტევა.

20 სექტემბერს საკუთარ სახლში მოკლეს ავლანეთის მშვიდობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ბურანუდინ რაბანი, რომელიც 2010 წლიდან შერიგების თაობაზე თალიბანთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს.

დღესაც განსჯის საგანია, რას წარ-

მოადგენს თალიბანი – ტერორისტული ორგანიზაციაა, პოლიტიკური პარტია, თუ უბრალოდ კრიმინალური დაჯგუფება.

ამასთან, ხშირია საუბარი იმაზე, რომ თალიბებს მხარს უჭერენ ავლანეთის ფარგლებს გარეთაც. მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის, „ალ-ქაიდას“ მეთაურის, უსამა ბინ-ლადენის ლიკვიდაციის ოპერაციის პაკისტანში ჩატარება, კითხვებს ისლამაბადის მისამართით კიდევ უფრო ამძაფრებს.

შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, ადმირალმა მაიკ მალენმა განაცხადა, რომ ჰაყანის ქსელი, რომელიც დაახლოებით 15 000-მდე წე-



■ კვლავ დიდ პრობლემად რჩება ნარკოტიკები. ოპიუმის პლანტაციები ავღანელების შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

სიმინდის, კომბოსტოს და სხვა აგროკულტურების შეთავაზების მიუხედავად, „იოლი ფულის“ შოვნა კვლავ ძირითად მიმართულებად რჩება. ერთი კილოგრამი ოპიუმის ადგილობრივი საბაზრო ფასი დაახლოებით 500 ამერიკული დოლარია. განადგურებულია ჰეროინის გადამამუშავებელი რამდენიმე ქარხანა, თუმცა მათი ზუსტი ციფრი უცნობია.

ვრს აერთიანებს, მოქმედებს როგორც პაკისტანის დაზვერვის უწყების ერთ-ერთი განშტოება. ადმირალმა მალენმა ასევე აღნიშნა, რომ პაკისტანის დაზვერვის მხარდაჭერით, ამ დაჯგუფების მებრძოლებმა შეძლეს ქაბულში შეერთებული შტატების საელჩოზე თავდასხმა 13 სექტემბერს, ხოლო მანამდე, 10 სექტემბერს, აფეთქების მოწყობა ქაბულის სამხრეთით მდებარე „ნატოს“ პოსტზე.

ქაბულში, აისაფ-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მეამბოხეებს ჭირდებათ ფული, იარაღი, უცხოელი დაქირავებულები, ჰაყანის ქსელები, იდეოლოგია და მოსახლეობის მხარდაჭერა.

კეთდება განცხადებები, რომ პაკისტანში თალიბების უმაღლესი რანგის პირები უსაფრთხოდ ცხოვრობენ, ავღანეთში კი აისაფ-ის ჯარისკაცებს ბრძოლა საშუალო და დაბალი დონის მებრძოლებთან უწევთ.

ქაბულშიც და ბრიუსელშიც ამბობენ, რომ მომავალში პაკისტანი მეტ პრობლემას შექმნის.

სექტემბრის დასაწყისში, კოალიციური ძალების სამხედროებმა 10-მდე ავღანელი ბავშვი აიყვანეს (რეალურად კი სიკვდილს გადაარჩინეს), რომლებიც სუიციდს გეგმავდნენ. ბავშვებს თვითმკვლელობისთვის თალიბები ამზადებდნენ, ეს მათი ახალი ტაქტიკაა.

რეინტეგრაციის პროცესის მიუხედავად, რომელიც ავღანურ უსაფრ-

თხოების ძალებში თალიბების მხარეს მებრძოლთა გადმობირებას და სამსახურს გულისხმობს, ამბოხებულები სულ უფრო ახალ მეთოდებს იყენებენ. რეინტეგრირებულია 2 000-მდე ყოფილი მებრძოლი. აისაფ-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რიგითმა და საშუალო დონის წევრებმა ბრძოლის ხალისი დაკარგეს, თუმცა 13 სექტემბრის შემდეგ, ვითარება კვლავ მძიმეა.

ერთ-ერთი პრობლემა ავღანური უსაფრთხოების ძალებში ინფილტრაციის საკითხია, რადგან პოლიციაში ამბოხებულების შეჭრის ფაქტები არაერთხელ დაფიქსირდა. ბოლო შემთხვევას ავსტრალიელი ჯარისკაცი ემსხვერპლა.

უსაფრთხოების გადაცემა, ავღანური ეროვნული არმიისა და პოლიციის რეკრუტების მიღება-გადამზადებასაც გულისხმობს.

კვლავ დიდ პრობლემად რჩება ნარკოტიკები. ოპიუმის პლანტაციები ავღანელების შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

სიმინდის, კომბოსტოს და სხვა აგროკულტურების შეთავაზების მიუხედავად, „იოლი ფულის“ შოვნა კვლავ ძირითად მიმართულებად რჩება. ერთი კილოგრამი ოპიუმის ადგილობრივი საბაზრო ფასი დაახლოებით 500 ამერიკული დოლარია. განადგურებულია ჰეროინის გადამამუშავებელი რამდენიმე ქარხანა, თუმცა მათი ზუსტი ციფრი უცნობია.

	თალიბების მხარდობის ძირითადი	ახლა
სკოლები	3500	13 000
მასწავლებლები	20 000	160 000
სტუდენტები	1,2 მილიონი	8,3 მილიონი
ქალები მთავრობაში	0	69
მობილური კომპანიები	1	4
ჯანდაცვაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა	8%	60%



აისაფ-ის სამხედრო მოსამსახურეები აცხადებენ, რომ ოპიუმის პლანტაციების აღმოსაფხვრელად სპეციალური პროგრამები ავღანეთის მთავრობამ უნდა შეიმუშაოს.

ამასთან, დაპირისპირება ეთნიკურ ნიადაგზე, მყიფე უსაფრთხოება, კორუფცია სახელისუფლო ინსტიტუტებსა და პოლიციაში, ავღანურ უსაფრთხოებას ძალიან მყიფეს ხდის.

2014 წლიდან ავღანეთიდან კოალიციური ძალების გამოყვანისა და ძალაუფლების ადგილობრივი ხელისუფლებისთვის გადაცემის პროცესი იწყება.

ბამიანის პროვინცია, რომელიც მკითხველმა ბუდას ქანდაკებებით იცის (ავღანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი

პროვინცია, 10 წლის წინ ბამიანში თალიბებმა ასეულობით მშვიდობიანი მოსახლე სიკვდილით დასაჯეს, გადანეწეს მოსახლეობის სახლები და ააფეთქეს ბუდას ქანდაკებები), ერთ-ერთი პირველია, რომელსაც გარდამავალი ეტაპი შეეხო. დღეს იქ სამხედროებს თითქმის ვერ ნახავთ და ქუჩებში გადაადგილებაც უსაფრთხოდ შეიძლება. თუმცა საზარებით დასახლებულ ამ რეგიონში ძირითად პრობლემად სახელმწიფო განვითარების პროგრამების სიმცირე და ელექტროენერგია რჩება.

განსხვავებული სურათია სამხრეთით – ჰელმანდის მეზობელ ურუზგანის პროვინციაში, სადაც ქართველი ჯარისკაცები დგანან. ურუზგანში

გადაადგილება ბამიანთან შედარებით შეზღუდულია. კრიმინალი ადგილობრივების ერთ-ერთი საარსებო წყაროა. ამ რეგიონში ელექტროენერგია მხოლოდ 8%-ს აქვს, 10 % უსაფრთხო წყალს სვამს, განათლება – მამაკაცებში 8.1%-ია, ქალებში კი – 2%. ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობა – 37%.

როგორი იქნება ავღანეთი 2014 წლის (ჯარების ეტაპობრივად გამოყვანის ათვლის წერტილი) შემდეგ და რა გზას დაადგება საკმაოდ რთული სათქმელია, პროგნოზები არადაამაიმედებელია. სავარაუდოდ, თავდასხმები და აფეთქებები არ შემცირდება და მსოფლიო მედია-საშუალებები კვლავაც მიაწვდიან მოსახლეობას დრამატულ ამბებს ამ ქვეყნიდან. ■

ვიხილიუსი ქახთაი-სომხუხი საქაიუსიო დაჰაზა

აგვისტოს ბოლოს Wikileaks-ის მიერ გამოქვეყნებულმა დიპლომატიურმა მიმონერამ შუქი მოჰფინა ამერიკელი დიპლომატების მცდელობას, მედიატორის როლი შეესრულებინათ ქართული და სომხური ეკლესიების მრავალწლიან დავაში ეკლესიებთან დაკავშირებით.

ოლესია ვართანიანი, რადიო „თავისუფლება“, „ლიბერალისტის“

ყველაფერი 2008 წლის შემოდგომაზე დაიწყო. ოქტომბერში სრულიად სომხეთის კათალიკოსი გარეგინ მეორე სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილეს დენიელ ფრიდს შეხვდა, რომელსაც ეჩმიაძინსა და თბილისის შორის ეკლესიებთან დაკავშირებული დავის გადასაწყვეტად აშშ-ის შუამავლობა სთხოვა. ამის შემდეგ ერევანში და თბილისში აშშ-ის ელჩები ამ საკითხზე მუშაობას შეუდგნენ.

შედარებით აქტიურობით გამოირჩეოდა აშშ-ის წინა ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი. მისი წერილებიდან ირკვევა, რომ თბილისში ყოფნის სამი წლის მანძილზე ის საგულდაგულოდ ადევნებდა თვალს ქართულ ეკლესიაში მიმდინარე მოვლენებს. თუმცა საკუთარი დაკვირვებების პრაქტიკაში გამოყენების საშუალება მას მხოლოდ 2008 წელს მიეცა.

ტეფტი ამ საქმეს შესამჩნევი ენთუზიაზმით მოეკიდა. მაშინ ის ერევანს სპეციალური ვიზიტითაც კი ეწვია, რათა სომეხი კათალიკოსის პოზიციას გასცნობოდა. ტეფტი დეპუტებში დეტალურად აღწერდა ქართულ ეკლესიაში არსებულ ძალაუფლების ლაბირინთებს, რაც ძალიან განსხვავდებოდა მისი სხვა წერილებისგან, სადაც ის, მაგალითად, ქართულ პოლიტიკაზე საუბრობდა. მისი დეპუტები აზნაცებისგან შედგებოდა, რომელთაგან თითოეულს სათაურებად ბიბლიიდან ციტატები ჰქონდა დართული.

ტეფტის და სხვა ამერიკელი დიპლომატების თითქმის ორწლიანი მიმონერიდან ნათელი ხდება, რომ ეკლესიებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა სომეხ და ქართველ პატრიარქებს შორის

არსებული პიროვნული კონფლიქტია.

2008 წლის დეკემბერში ამერიკელ დიპლომატთან პირველივე შეხვედრაზე ილია მეორემ გარეგინ მეორეზე ჩივილი დაიწყო. ამ შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე ორი პატრიარქი მოსკოვში რუსეთის პატრიარქის, ალექსი მეორის დასაფლავებაზე შეხვდა ერთმანეთს. მათ შორის მცირეხნიანი საუბარი შედგა თბილისში, ლესელიძეზე მდებარე ნორაშენის სადავო ეკლესიასთან

■ ამერიკელმა ელჩმა რამდენიმე თვე დახარჯა

საპატრიარქოს ბნელი

კორიდორების შესასწავლად,

ეგონა რა, რომ ეს პრობლემის

მოგვარებაში დაეხმარებოდა.

დაკავშირებით.

„გარეგინ მეორემ ნორაშენის ეკლესიის საკითხი წამოსწია და აღნიშნა, რომ სურს ეს საკითხი რაც შეიძლება მალე გადაიჭრას. ილია მეორემ აღნიშნა, რომ საუბრისას გარეგინ მეორე დაჟინებულად მოითხოვდა თბილისში დაუყოვნებლივ დაპატიჟებას და ნორაშენის ტაძრის მისთვის გადაცემას,“ – ჰყვებოდა ტეფტი დეპუტეში.

ასეთი დამოკიდებულება ილია მეორეს არ მოეწონა: „მან თქვა, რომ გარეგინ მეორე თავის მომხრეებში განზრახ ალივიებს უკმაყოფილებას ამ საკითხთან დაკავშირებით. მან შემდეგ აღნიშნა, რომ გარეგინ

მეორის ასეთი მოუთმენლობა რუსული გავლენით აიხსნებოდა, რადგან მისი ძმა მოსკოვში ეპისკოპოსი იყო.“

ელჩი წერს, რომ ვერ მოიპოვა ილია მეორის ინფორმაციის ვერანაირი დასტური სომეხთა კათალიკოსის ძმასთან დაკავშირებით. თუმცა ტეფტს წერილის ბოლოს არ დაუინყებია ქართველი პატრიარქის ერთი მნიშვნელოვანი კომენტარის გახსენება, სადაც ის ამბობდა, რომ მისთვის გაცილებით კომფორტული იყო გარეგინ მეორის წინამორბედთან ურთიერთობა, მათ შორის ეკლესიების საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის იღვა

სადავო ეკლესიების პრობლემის გაჩენისთანავე საქართველოს საპატრიარქო ეჩმიაძინს ორმხრივი კომისიის შექმნას სთავაზობდა, რომელიც საქართველოში იმ ექვსი სადავო ეკლესიის ისტორიულ წარმომავლობას გამოიკვლევდა.

თავდაპირველად ამ წინადადებას ეჩმიაძინი სიხარულით არ შეხვედრია. სომეხ სასულიერო პირებს ქართული მხარის ერთ-ერთი წინადადება არ მოსწონდათ. საქმე ეხებოდა არა მარტო საქართველოში არსებული ექვსი ტაძრის, არამედ სომხეთის ტერიტორიაზე, მოსაზღვრე ზონაში მდებარე ორი ტაძრის წარმომავლობის დადგენასაც, რაზეც პრეტენზიას უკვე ქართული მხარე აცხადებდა.

სომეხი სასულიერო პირები თბილისის ასეთ პრეტენზიებს უსაფუძვლოდ უწოდებდნენ. 2009 წლის თებერვალში სომეხმა ეპისკოპოსმა არშაკ ხაჩატრიანმა ერევანში ამერიკის ელჩს ირონიით უთხრა: „თუ ქართველები მსგავსი მოთხოვნების წამოყენებას



გააგრძელებენ, სომხური მხარე საქართველოს წმინდა ქალაქში, მცხეთაში მდებარე ეკლესიების გადაცემასაც მოითხოვს, რომლებიც სომხების მიერ არის აშენებული.“

მხარეების ასეთი უნდობლობა ამერიკელ დიპლომატებს საშუალებას არ აძლევდა ორ ეკლესიას შორის არსებულ დავაში მცირე პროგრესისთვის მანც მიეღნათ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ეკლესიის წარმომადგენლები მათთან საუბარში მხოლოდ ერთმანეთს ადანაშაულებდნენ და არც კი ჰქონიათ მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომის და უთანხმოების მოგვარების მცდელობა.

„სიმართლე ისაა, რომ არცერთ მხარეს არ სჯერა მეორე მხარის კეთილი ნების. ამის ნაცვლად, აშშ-ის მხარდაჭერის მოსაპოვებლად ისინი საჯარო დავას განაგრძობენ,“ – ჩიოდა ამერიკელი ელჩი ერევანში.

დიპლომატები აღნიშნავდნენ, რომ ეკლესიებს შორის კონფლიქტი მთავრობებს შორის ურთიერთობებზეც აისახებოდა. სხვადასხვა დონეზე მოლაპარაკებების დროს სომეხი ჩინოსნები ეკლესიების საკითხის გადაჭრას მოითხოვდნენ. როგორც ელჩები წერდნენ, მათ ქართველ კოლეგებს სათქმელი არაფერი ჰქონდათ.

ქართული შიდაეკლესიური პრობლემა

ტეფტი არწმუნებდა სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ საქართველოს ხელისუფლება სიხარულით მოაგვარებდა ეკლესიების პრობლემას, მაგრამ ამას სა-

პატრიარქოსთან დაპირისპირების შიშით არ აკეთებდა. ამას შეიძლება ეკლესიის მხარდამჭერების მასობრივი პროტესტები გამოეწვია.

ტეფტი იუწყებოდა, რომ ჯერ კიდევ 2009 წელს საქართველოს ხელისუფლება მზად იყო ტრადიციული ეკლესიებისთვის, მათ შორის სომხურისთვის სტატუსის მინიჭების შესახებ განხილვები დაეწყო. თუმცა მთავრობამ მაშინ უარი თქვა ამ ინიციატივაზე, რადგან იმ დროისათვის ქუჩაში გამოსულ ოპოზიციას შესაძლოა, ეს საკუთარი ინტერესებისთვის გამოეყენებინა.

ამერიკელმა ელჩმა რამდენიმე თვე დახარჯა საპატრიარქოს ბნელი კორიდორების შესასწავლად, ეგონა რა, რომ ეს პრობლემის მოგვარებაში დაეხმარებოდა. 2009 წლის თებერვალში მან დეტალურად აღწერა საპატრიარქოს „კონსერვატიული“ ნაწილი, რომელიც მისი სიტყვებით, მთელ ამ პროცესს აფერხებდა.

ტეფტი წერდა, რომ იმ დროისთვის „კონსერვატორებს“ შორის არ ყოფილა არცერთი ეპისკოპოსი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ილია მეორის მოულოდნელი სიკვდილის შემთხვევაში ვერცერთ მათგანს ვერ ექნებოდა პატრიარქის ადგილზე პრეტენზია. თუმცა მათი ჩამონერა ნაადრევი იყო. ელჩმა განმარტა, რომ თუ პატრიარქი ე.წ. „ლიბერალების“ წრიდან იქნებოდა, რეალური ძალაუფლების მისაღებად მას მანც დასჭირდებოდა „კონსერვატორების“ მხარდაჭერა:

„კონსერვატორები ძალაუფლებას პირდაპირ მიღებული დიდი ფულადი ნაკადების წყლობით ინარჩუნებენ, რაც მათ საკუთარი სახსრების ქონის საშუალებას აძლევს.“ ელჩი იუწყებოდა, რომ ფულად სახსრებს ისინი ასევე რელიგიური წიგნების, ჟურნალების და საეკლესიო მალაზიების წყალობითაც იღებდნენ.

„საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ხელიდან გაუშვა განათლების სფერო, რომელიც თანდათანობით ცალკეული კონსერვატორების გავლენის ქვეშ გადავიდა.“

ამერიკელი ელჩი წერდა, რომ ილია მეორის ჯანმრთელობის გაუარესებასთან ერთად, კონსერვატორების გუნდის გავლენა სულ უფრო ძლიერდებოდა. ის აფრთხილებდა სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ მათი გაძლიერებით ქართულ-სომხური საეკლესიო პრობლემის გადაჭრის შანსები იკლებდა:

„იმის გათვალისწინებით, რომ კონსერვატორებს ეკუმენიზმის არ სჯერათ, მათი დიდი ნაწილი „ერეტიკოსებთან“ დიალოგს და ურთიერთობების სტიმულაციას მხარს არ დაუჭერს“.

სომხური ბამბიტი

ბოლო მომენტამდე სომეხი სასულიერო პირები ვერ იჯერებდნენ, რომ ეკლესიების საკითხის გადაჭრა ასეთი რთული იყო. ისინი იმედოვნებდნენ, რომ აშშ-ის ხელისუფლებაზე ზენოლის მეშვეობით, ისინი საქართველოს მთავრობას საპატრიარქოს წინააღმდეგ წასვლას აიძულებდნენ. მოვლენების ფორსირებას ისინი აშშ-ის ხელმძღვანელობაზე ზენოლითაც ცდილობდნენ.

დენიელ ფრიდის მიმართ ზეპირი თხოვნიდან ერთი წლის შემდეგ, 2009 წლის დეკემბერში გარეგინ მეორემ აშშ-ის პრეზიდენტს ბარაკ ობამას სპეციალური მიმართვა გაუგზავნა, სადაც მას ეკლესიების საკითხში ჩარევას სთხოვდა. ის ამბობდა, რომ საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობდა სომხური ეპარქიისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭებაზე, რაც საქართველოში მათი კუთვნილი ქონების დაბრუნების და დანგრეული ეკლესიების გარემონტების საშუალებას მისცემდათ.

საქართველო და რუსეთი

სტრასბურგი, ახალი პოლიბონი

ვაშინგტონის რეაქცია უცნობია, WikiLeaks-ს არ გამოუქვეყნებია ელჩების შესაბამისი რეკომენდაციები ერევანსა და თბილისში.

თუ ჩავთვლით, რომ სომეხი კათოლიკოსის მიმართვა ვაშინგტონში შეამჩნიეს და სიტუაციაში ჩარევა გადაწყვიტეს, მაშინ აშშ-ის თბილისზე ზეწოლამ, როგორც ჩანს, დიდი ვერაფერი შედეგი გამოიღო. ობამას წერილიდან ორ თვეში გარეგინ მეორემ ერევანში ამერიკელ ელჩს დაურეკა.

შეხვედრის დროს სომეხი კათოლიკოსი თბილისის მისამართით უწინდელივით დაჟინებით აღარ აყენებდა პირობებს. ის მზად იყო, დათმობაზე წასულიყო და საქართველოს საპატრიარქოს იმ წინადადებებსაც დათანხმებოდა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ მისთვის სრულიად მიუღებელი იყო.

„კათოლიკოსმა დანანებით თქვა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქართული ეკლესია კიდევ უფრო კონსერვატორული გახდა. ის ამბობდა, რომ მას აღარ ჰქონდა იმედი, რომ ამჟამინდელი პატრიარქის სიცოცხლეში რაიმე პროგრესის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა, რადგან ის უმცირესობების რელიგიური ჯგუფებისთვის თანაბარი უფლებების მინიჭების წინააღმდეგი იყო.“

კათოლიკოსმა ელჩს უთხრა, რომ მისი ბოლო იმედი საქართველოს პრეზიდენტი იყო, რომელსაც საპატრიარქოს წინააღმდეგობის მიუხედავად შეეძლო სპეციალური ბრძანების გაცემა, რომელიც სომხურ ელესიას სპეციალურ სტატუსს მინიჭებდა. ეს კი მათ ეკლესიების დაბრუნების საშუალებას მისცემდა. ამის გაკეთება პარლამენტის მეშვეობით, მისი აზრით, შეუძლებელი იქნებოდა.

„ის დარწმუნებულია, რომ ქართული ეკლესია პარლამენტარების გადარწმუნებას შეეცდება, რათა მათ უმცირესობების რელიგიურ ჯგუფებს სტატუსი არ მინიჭონ.“

გარეგინ მეორემ ელჩთან შეხვედრისას ითხოვა თბილისისთვის მისი საქართველოში ჩასვლის სურვილი გადაეცათ. საუბარი იმაზე, რომ ამ ვიზიტისას ნორა-შენის ეკლესიის გასაღების გადაცემას ელის, აღარ ყოფილა. **■**

სტრასბურგის ადამიანის უფლებების სასამართლოში გამართულმა ქართული და რუსული მხარეების მოსმენებმა გაამყარეს თბილისის იმედები იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპის სასამართლო აგვისტოს ომთან დაკავშირებით რუსეთის წინააღმდეგ სარჩელის განხილვას დათანხმდება.

ოლესია ვართანიანი, რადიო „თავისუფლება“, „ლიბერალისთვის“



ქართული მხარის ბრალდების დეტალურ განხილვამდე სტრასბურგის სასამართლომ ერთ მნიშვნელოვან კითხვას უნდა გასცეს პასუხი: რამდენად შედის ამ სარჩელის განხილვა მის კომპეტენციაში? გასულ კვირას ამასთან დაკავშირებით სასამართლომ ქართულ და რუსულ მხარეებთან მოსმენები გამართა.

მოსმენა დაახლოებით საათნახევარს გაგრძელდა. თუმცა, დაწყებიდან უკვე რამდენიმე წუთში ნათელი იყო, რომ ქართულ მხარეს პირველ ეტაპზე გამარჯვების რეალური შანსები ჰქონდა, რაშიც სარჩელის განსახილველად მიღება და რუსეთის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის გაგრძელება იგულისხმებოდა.

ეს მეტწილად რუსი ადვოკატების დამსახურებაა. გასულ კვირას ისინი პირველები წარდგინეს სასამართლოს წინაშე.

ამ საქმისთვის მოსამზადებლად რუსეთმა 20-მდე ბრიტანელი და რუსი იურისტი დაიქირავა, მათგან რამდენიმეს სახელი კარგადაა ცნობილი საერთაშორისო სასამართლო საზოგადოებისთვის. ამის მიუხედავად, რუსეთის ინტერესების დამცველებმა, სპეციალისტების აზრით, არასწორი სტრატეგია აირჩიეს. ერთ-ერთი, ვინც ასე ფიქრობს, ადამიანის უფლებათა დამცველი ცენტრის „მემორიალის“ იურისტი კირილ კოროტევეია, რომელსაც სტრასბურგის სასამართლოში მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკა აქვს.

კოროტევემა რუსული სტრატეგიის ორი მთავარი წინდაუხედავი მომენტი გამოყო. პირველი: რუსი ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის 2008 წლის შემთხვევა უნიკალურია და მისი განხილვა მსგავსი შემთხვევების,

მაგალითად, კვიპროსის ან დნესტრის-პირეთის პრიზმაში გატარებით არ შეიძლება. „ამით ადვოკატები სასამართლოს თითქმის 20-წლიანი სასამართლო პრაქტიკის სანაგვე ყუთში გადაგდებას სთავაზობდნენ. ასეთი რამ გაცილებით სერიოზულ საქმეებთან დაკავშირებითაც კი არ მომხდარა,“ – ამბობს კოროტევი.

რუსული მხარის მეორე იდეა ე.წ. „ომის უფლებას“ ეფუძნებოდა. ეს იურიდიული ტერმინი გასული საუკუნის 30-იან წლებში სასამართლო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენებოდა და განმარტავს, თუ რა შემთხვევებში შეიძლება მოეხსნას მეომარ ქვეყანას კონფლიქტის ზონაში სამართალდარღვევებისთვის პასუხისმგებლობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ ნორმას, პრაქტიკულად, აღარ იყენებენ. ის ახალმა პრინციპებმა ჩაანაცვლეს, რომლებიც

სეთი წარუმატებლად ატარებდა სტრასბურგში ჩენეთის ომებთან დაკავშირებულ საქმეებზეც, რომელთა უმეტესობაც რუსეთმა წააგო.

კოროტევი ალნიშნა, რომ რუსეთის ადვოკატების ასეთი სტრატეგიის ფონზე, საქართველოს წარმომადგენლების სასამართლოში გამოხატული გაცილებით მოსაწყენი იყო.

ამ საქმისთვის მოსამზადებლად საქართველომ სამი ბრიტანელი ადვოკატი დაიქირავა. მოსმენის დროს მათ წარმოადგინეს რუსეთის მისამართით არსებული ბრალდებები, რომლებიც სამი წლის განმავლობაში უკვე ყველასთვის კარგად ცნობილია: ის, რომ რუსეთი ოკუპანტია და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განხორციელებულ ყველა სამართალდარღვევაზე პასუხი უნდა აგოს.

■ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება დაახლოებით 2 ათასი ინდივიდუალური სარჩელის ბედზე იქონიებს გავლენას.



ადამიანის უფლებების შესახებ ჟენევის კონვენციაში შეიტანეს.

მოსმენების დროს რუსი ადვოკატები ცდილობდნენ სასამართლოს დარწმუნებას, რომ 2008 წლის მოვლენებთან დაკავშირებით „ომის უფლება“ უნდა გამოყენებულიყო.

„რუსეთის ფედერაცია ამტკიცებდა, რომ რუს ჯარისკაცებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთში რუსი მოქალაქეების და რუსი მშვიდობისმყოფელების დასაცავად აღმოჩნდნენ, „მტრის ჯარისკაცების“ მოკვლის შეუზღუდავი უფლება ჰქონდათ. ამაში ისინი ყველა სახის მკვლელობას გულისხმობდნენ, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ტერორიზაზე მოხდა, მათ შორის მშვიდობიანი მოსახლეობის,“ – ჰყვება კირილ კოროტევი.

მისი თქმით, მსგავს სტრატეგიას რუ-

სპრინციპში, საქართველოს ამერიიდან შეუძლია მოეშვას. მთავარია, მათ ყველაფერი მშვიდად და აკურატულად აკეთონ, რათა ვერაფერზე მოედავონ. მათმა რუსმა კოლეგებმა გასაკეთებელი უკვე გააკეთეს,“ – აღნიშნა კოროტევი.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება დაახლოებით 2 ათასი ინდივიდუალური სარჩელის ბედზე იქონიებს გავლენას, რომლებიც საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ აგვისტოს ომის დროს დაზარალებულმა რიგითმა მოქალაქეებმა, ფულადი კომპენსაციის მიღების მოთხოვნით შეიტანეს.

გასული კვირის მოსმენების დასრულების შემდეგ ქართულ მხარეს ნაადრევი დასკვნების გაკეთება არ დაუწყია. სტრასბურგის სასამართლო მოედანი რიგით მეორეა, სადაც ისინი ცდილობენ რუსეთს

ვალდებულებების შესრულება აიძულონ. ჰააგაში, გაეროს სასამართლოში, პირველი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

სტრასბურგში სარჩელი 2008 წლის 11 აგვისტოს შეიტანეს, ომიდან მესამე დღეს. მომდევნო დღეს სარჩელი ჰააგის სასამართლოს გადასცეს. გაეროს სასამართლომ სარჩელის ოპერატიულად განხილვა დაიწყო. სტრასბურგის სასამართლოს მსგავსად, თავდაპირველად ჰააგელ მოსამართლეებს უნდა გადაეწყვიტათ, თუ რამდენად შედიოდა ამ საქმის დეტალური განხილვა მათ კომპეტენციაში.

შარშან შემოდგომაზე, ჰააგის სასამართლოზე მოსმენების დროს, ქართველი პოლიტიკოსები და ადვოკატები ერთხმად წინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას.

როდესაც ნახევარი წლის შემდეგ ჰააგის სასამართლომ გადაწყვეტილება რუსეთის სასარგებლოდ გამოიტანა, თბილისში პოლიტიკოსები დიდხანს ვერ პოულობდნენ ახსნას. საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე მაშინ ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც მარცხი აღიარა და ჰააგელი მოსამართლეები რუსეთთან საქმის დაჭერის სურვილის არქონაში დაადასტურა.

სტრასბურგში ახლა საქართველოს გაცილებით მომგებიანი პოზიცია აქვს, ვიდრე ეს ჰააგაში იყო. ჰააგის სასამართლოს საქმის მხოლოდ ერთი კონვენციის მიხედვით განხილვა შეეძლო – კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის ლიკვიდაციის შესახებ. სტრასბურგის სასამართლოს კი ქართული სარჩელის განხილვა ერთდროულად რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტის და მათში მოცემული მუხლების მიხედვით მოუწევს, საიდანაც ერთ-ერთის აქტუალობის დამტკიცებაც კი საქმარისი იქნება მოსმენების პირველ ეტაპზე საქართველოს გამარჯვებისთვის და რუსეთის წინააღმდეგ დეტალური განხილვების დასაწყებად.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ქართველი პოლიტიკოსები დამაიმედებელი კომენტარების გაკეთებას ერიდებოდნენ იმის შიშით, რომ სტრასბურგის მოსმენების ეიფორია მორიგი ჰააგა არ აღმოჩნდეს. ჟურნალისტებს ისინი პასუხობდნენ, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე კომენტარს არ გააკეთებდნენ. ■



ილუსტრაციები რეალურ პერსონებზე

ახრევენებიდან ახრევენებამდე დაბებში თბილისის ბიუჯეტი

2012 საარჩევნო წელია. საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წელი დარჩა. ამ არჩევნებისთვის ყველაზე მეტი მუშაობა თბილისის მერს მოუწევს, რადგან ხელისუფლებისადმი ყველაზე კრიტიკულად განწყობილი ელექტორატი თბილისშია. გიგი უგულავას მთავარი მისია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ საჭირო ხმების მობილიზება იქნება. მერის არჩევნებში მას სახელისუფლებო გუნდის სრული მორალური და ფინანსური მხარდაჭერა ჰქონდა. ახლა მისი ჯერია.

მანანა ვარდიშვილი

თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დედაქალაქისთვის გამოყოფილი ტრანსფერი თბილისის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური იყო: დედაქალაქის შარშანდელი ბიუჯეტი 743 მლნ ლარს აჭარბებდა. თბილისის მთავარი საფინანსო დოკუმენტი ისე იყო შედგენილი, რომ მისი 60-80 პროცენტი წლის პირველ ნახევარში, 30 მაისამდე დაიხარჯა – 2010 წლის 30 მაისს თბილისის მერის პირველი არჩევნები ჩატარდა, რომელსაც წინ გიგი უგულავას გრანდიოზუ-

ლი და ხელგაშლილი წინასაარჩევნო კამპანია უძღოდა. ამ კამპანიაში ხელისუფლების მთავარი კანდიდატის და მოქმედი მერის მხარდასაჭერად მმართველმა გუნდმა ფინანსური რესურსი არ დაიშურა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშის თანახმად, გასული წლის საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილი სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მომზადებასა და სახელისუფლებო კანდიდატის წი-

ამავე თემაზე ვებზე

მანანა ვარდიშვილის ბლოგი

განცხადება
N 11/88834-1

ასევე:
მერის პრიორიტეტები
არჩევნებამდე და
შემდეგ

www.liberali.ge

მთავარი თემა

ნასაარჩევნო დაპირებების შესრულებას მოხმარდა.

მზრუნველი მეურნის როლის სათანადო შესრულებაში უგულავას ის მრავალრიცხოვანი პროექტები დაეხმარა, რომლებიც თბილისის მერიამ მას შემდეგ წამოიწყო, რაც ცნობილი გახდა, რომ გაზაფხულზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდებოდა.

მეურნე მერმა მთავარი ფსონი უმუშევრობის აღმოფხვრაზე დადო და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დეკლარირებული „ქაშაშვილის შემოჭრის“ პოლიტიკიდანაც გადაუხვია – გასულ წელს თბილისის მერიასა და საკრებულოში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა 410 თანამშრომლით, ხოლო სახელფასო ფონდი – 5,5 მლნ ლარით გაიზარდა.

მერის ინიციატივით, 2010 წელს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების ხარჯები წინა წელთან შედარებით 61,5 მილიონი ლარით გაიზარდა.

თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, 2010 წლის პირველი მარტიდან დედაქალაქში დარეგისტრირებული პენსიონერების პენსიები 10 ლარით გაიზარდა.

ეს დანამატი თბილისის მერიის ბიუჯეტიდან დაფინანსდა, რისთვისაც 19,9 მლნ ლარი გამოიყო.

თბილისის მერიის კიდევ ერთი დადგენილებით, დედაქალაქში მცხოვრებ 167 271 პენსიონერს მუნიციპალური ტრანსპორტით შეღავათიან ფასში მგზავრობის მიზნით სატრანსპორტო პერსონალური ბარათი დაურიგდა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 3,5 მლნ ლარი დაიხარჯა.

გარდა ამისა, მერიის ინიციატივით, ყველა კატეგორიის პენსიონერს მედიკამენტების შესაძენად 25-ლარიანი ვაუჩერი გადასცეს, რაზეც დედაქალაქის ბიუჯეტიდან 4 მლნ ლარი გამოიყო.

ამომრჩევლის გულის და ხმის მოგებაზე გათვლილი პროგრამები – ინგლისურისა და კომპიუტერის კურსები, აბონენტებისთვის დასუფთავების დაგროვებული გადასახადის დაფარვა, უფასო იურიდიული და საადვოკატო მომსახურება თბილისის ბიუჯეტს ათეულობით მილიონი ლარი დაუჯდა.

თბილისის მოქმედი მერი და ამ წამოწყებების ინიციატორი საინფორმაციო გამოშვებების მთავარი გმირი იყო. მისი საარჩევნო კამპანია იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, რომ ბევრი საპრეზიდენტოს ადარებდა.

არჩევნების შემდეგ გიგი უგულავამ ამომრჩევლებს ახალი, „120-დღიანი გეგმა“ წარუდგინა. მერი მოსახლეობას 120 დღის განმავლობაში სამუშაო ადგილების შექმნას, ინვესტიციების მოზიდვას და მცირე ბიზნესის ხელშეწყობას დაჰპირდა.

„ჩვენ უნდა დავგეგმოთ, თუ როგორ გადავაქციოთ თბილისის მერია, გამგეობები და მუნიციპალიტეტები დასაქმების ბიუროდ,“ – განაცხადა ახლად არჩეულმა მერმა.

ამ დაპირებიდან რამდენიმე თვის შემდეგ თბილისის მუნიციპალიტეტისა და გამგეობების თანამშრომლებმა დასაქმების ბიუროებს თავად მიაკითხეს: გასულ წელს მერიის სისტემაში დასაქმებული 916 ადამიანიდან 180 უმუშევარი დარჩა.

თბილისის მერიამ „ქაშაშვილის შემოჭრის“ პოლიტიკა საარჩევნო წლის ჩამთავრების შემდეგ დაიწყო. 2011 წლის თბილისის ბიუჯეტი 644 მლნ ლარია, გასული წლის ბიუჯეტზე 99 მილიონი ლარით ნაკლები.

მერიისა და მერის პრიორიტეტები საარჩევნო წლის დასრულებისთანავე შეიცვალა. 2011 წლის ბიუჯეტის სლოგანია „უკეთესი მომსახურება უკეთეს

2010 წელი

+ 410 თანამშრომელი თბილისის მერიასა და საკრებულოში

+ 5,5 მლნ ლარი – თბილისის მერიასა და საკრებულოში დასაქმებულ ადამიანთა სახელფასო ფონდი

+ 19,9 მლნ ლარი – დედაქალაქში რეგისტრირებული პენსიონერების პენსიების ზრდის დაფინანსება

+ 3,5 მლნ ლარი – პენსიონერთა მგზავრობა მუნიციპალური ტრანსპორტით შეღავათიან ფასში

+ 4 მლნ ლარი ყველა კატეგორიის პენსიონერს მედიკამენტების შესაძენად

2011 წელი

- 99 მლნ ლარი – თბილისის მერიის ბიუჯეტის შემცირება

- 13 მლნ ლარი – სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსების შემცირება

- 14 მლნ ლარი – საბავშვო ბაგა-ბაღების დაფინანსების შემცირება

- 63,5 მლნ ლარი – სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, გზებისა და ეზოების შეკეთების დაფინანსების შემცირება

- 30 მლნ ლარი საბინაო-კომუნალური მომსახურების დაფინანსების შემცირება



ფოტოს: ვალერი ხაჩია

თბილისს.“ გიგი უგულავა აცხადებს, რომ დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტი მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით შეადგინეს.

„სწორედ თბილისელთა აზრის გათვალისწინებითაა დანერგილი ბიუჯეტის ახალი პროექტი, რომელიც სერვისების მოდერნიზებაზე, უმწეოთა სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და ადმინისტრაციის ხარჯების შემცირებაზეა ორიენტირებული,“ – ამბობს მერი.

თბილისის 2011 წლის ბიუჯეტი პენსიონერებისთვის მედიკამენტების შესაძენი ერთჯერადი ვაუჩერების დარიგებას და თბილისელებისთვის დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანების დაფარვას აღარ ითვალისწინებს.

სოციალური დაცვის პროგრამებს წელს დაფინანსება 13 მილიონი ლარით შეუმცირდა, საბავშვო ბაგა-ბალებს – 14 მილიონით, ეკონომიკურ საქმიანობას (ამ პუნქტით ფინანსდება სატრანს-

პორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გზებისა და ეზოების შეკეთება) – 63,5 მილიონი ლარით, ხოლო საბინაო-კომუნალურ მომსახურებას (სადარბაზოების შეკეთება, ამხანაგობის ინსტიტუტის განვითარება) – 30 მილიონით.

დაფინანსება შეუმცირდა ყველა იმ პროგრამას და პროექტს, რომლებიც ამავდროულად, თბილისის 2011 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტულადაა მიჩნეული.

თბილისის მერი სანახაობრივ-გასართობი და მასობრივი ღონისძიებების ხარჯების მასშტაბურ შემცირებაზეც საუბრობდა.


„ეს არის ბიუჯეტი, სადაც ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული, მასობრივი ღონისძიებები და სხვა სანახაობრივ-გასართობი, სამივლინეო თუ თანამდებობრივი ფუფუნების ხარჯები მთლიანად ამოშანთული ან მინიმუმამდეა დაყვანილი“, – ასე წარადგინა დე-

■ „თბილისის მერის სარეზერვო ფონდიდან ვანო ჯავახიშვილის კომპანია „კომედი გრუპ“ ათასობით ლარით რამდენჯერმე დააფინანსეს.

თბილისის მერის N 232 განკარგულების თანახმად კომპანიებს – „კომედი გრუპსა“ და „კენზოს“ 12 000 ლარი გამოუყვეს.

2011-2012 წლის ჩასახიზებიანი ჯონსაჩიზის, შხხეჩიზის და სხვანსხვანს ღლასანაჩის ოჩხანოჩიზისთის ბაოოსხეჩიანი ტანღეჩიანი:

სხვანსხვანს ღონისძიებების სცენებით, ტრიბუნებით, საგრიმირებებითა და კოშკებით უზრუნველყოფა	1,948,000 ლარი
გახმოვანების საკონცერტო აპარატურით მომსახურების შესყიდვა	1,000,000 ლარი
განათების და მინათების აპარატურის მომსახურების შესყიდვა	282,000 ლარი
მარტივი ტიპის (ლითონის) ჯებირის თანმღევი მომსახურების შესყიდვა	200,000 ლარი
ქალაქგაფორმებითი და სხვანსხვანს ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, ბიოტუალეტების მომსახურების შესყიდვა	193,000 ლარი
სულ	3,623,000 ლარი



თბილისის მერის ხელფასი 3 540 ლარია. ის წელიწადში 42 480 ლარს იღებს. გასულ წელს თბილისის მერმა წლიური პრემიისა და დანამატის სახით ხელფასთან ერთად დამატებით კიდევ 49 882 ლარი მიიღო. 2010 წელს თბილისის მერის შემოსავალმა ხელფასისა და პრემიის სახით ჯამში 92 362 ლარი შეადგინა.

დაქალაქის მერმა თბილისის საკრებულოში 2011 წლის ბიუჯეტი.

თუმცა, სანახაობრივ-გასართობი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო თანხები მერმა სარეზერვო ფონდშიც კი გამოწახა.

„თბილისის მერის სარეზერვო ფონდიდან ვანო ჯავახიშვილის კომპანია „კომედი გრუპ“ ათასობით ლარით რამდენჯერმე დააფინანსეს. თბილისის მერის N 232 განკარგულების თანახმად კომპანიებს – „კომედი გრუპსა“ და „კენზოს“ 12 000 ლარი გამოუყვეს. N 468 განკარგულებით, მარტო „კომედი გრუპი“ 50 000 ლარით არის დაფინანსებული. თბილისის მერის N 537 განკარგულების თანახმად, 30 000 ლარი გამოუყვეს შპს „კრეატივ გრუპსაც“. ეს ჯგუფები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში კომედიურ გადაცემებს ამზადებენ. ეს არამიზნობრივი ხარჯვაა. სარეზერვო ფონდიდან სახსრები გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ხარჯების დასაფინანსებლად გამოიყოფა, ისეთი საგანგებო შემთხვევებისთვის,

როგორცაა ბუნებრივი და სხვანსხვანს კატასტროფები. სარეზერვო ფონდიდან თანხები კომედიური გადაცემებისთვის არ უნდა იხარჯებოდეს,“ – ამბობს თბილისის საკრებულოს წევრი „რესპუბლიკური პარტიიდან“, თინა ხიდაშელი.

2011–2012 წელს ჩასატარებელი კონცერტების, შეხვედრების და სხვანსხვანს დღესასწაულების (ამ დღესასწაულებში არ შედის თბილისობა და ახალი წელი) ორგანიზებისთვის ტენდერები თბილისის მერიამ რამდენიმე კვირის წინაც გამოაცხადა. ტენდერების საერთო ღირებულება 3 მლნ ლარს აჭარბებს. ეს თანხა 2011 წლის ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს.

სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, სხვანსხვანს ღონისძიების სცენებით, ტრიბუნებით, საგრიმირებებითა და კოშკებით უზრუნველყოფის მიზნით, 1 948 000 ლარია გამოყოფილი, გახმოვანების საკონცერტო აპარატურით მომსახურების შესყიდვისთვის – 575 000 ლარი, ისევე ამავე მიზნისთვის – 425 000 ლარი, განათების და მინათების აპარატურის მომსახურების შესყიდვისთვის – 282 000 ლარი, მარტივი ტიპის (ლითონის) ჯებირის თანმღევი მომსახურების შესყიდვისთვის – 200 000 ლარი, ქალაქგაფორმებითი და სხვანსხვანს ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, ბიოტუალეტების მომსახურების შესყიდვისთვის – 193 000 ლარი.

„ეს ის თანხაა, რომელიც სექტემბრიდან საბავშვო ბალების დასაფინანსებლად უნდა გამოყოფილიყო. საბავშვო ბალების დაფინანსების შემცირებით თბილისის მერიამ 5,5 მლნ ლარი დაზოგა. ეს თანხა იმისთვის სჭირდება, რომ 2012 წელს, საპარლამენტო არჩევნების წინ, გიგი უგულავამ თბილისში პატარა-პატარა სცენები მოაწყოს და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდასაჭერი ღონისძიებები გამართოს. ეს ღონისძიებები 2011 წლის ბიუჯეტიდან იმიტომ დააფინანსეს, რომ 2012 წელს ხელისუფლების საარჩევნო კამპანიისთვის დახარჯულმა ფულმა ძალიან არ იყვიროს“, – ამბობს ხიდაშელი.

„უკეთესი მომსახურება უკეთეს თბილისს“

გაუმჯობესებული მომსახურების საბაზით გაზრდილი გადასახადების წყალობით წინასაარჩევნოდ დახარჯული თანხა თბილისის მერიამ მოსახლეობიდან უკვე ამოიღო. ბოლო ერთი წლის განმავლობაში თბილისში არაერთი გადასახადი გაძვირდა. გაძვირებულ გადასახადებს კი „უკეთეს მომსახურებასთან“ და „სერვისების მოდერნიზებასთან“ საერთო არაფერი აქვს.

2010 წლის 1 ოქტომბრიდან თბილისში ავტომობილების პარკირების საფასური 100%-ით, 50 ლარამდე გაიზარდა. კერძო კომპანია „სითი პარკს“, რომელიც დედაქალაქში პარკირების სისტემას მართავს, თბილისის მერიის თანხმობის გარეშე ამ გადაწყვეტილების მიღების უფლება არ ჰქონდა.

„სითი პარკმა“ გადასახადი ისე გაზარდა, რომ აუქციონის პირობებით გათვალისწინებული ინვესტიცია არ განუხორციელებია: კომპანიას არც ახალი საპარკინგე შენობები და სადგომები მოუწყვია და არც პარკომეტრების სისტემა შეუქმნია. ავტომანქანების პარკირების ახალი ადგილები კი, ძირითადად, ტროტუარების და გზის შევიწროების ხარჯზე გამოიყო.


მერიის გადაწყვეტილებით, 2010 წლის ოქტომბერში მუნიციპალური ავტობუსების მარშრუტები შემცირდა. მომსახურების ხარისხის გაუარესების ფონზე მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულება 40-დან 50 თეთრამდე გაძვირდა.

მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნოდ მერია თბილისელებს წყლის უწყვეტ მომარაგებას დაჰპირდა, მოსახლეობის 15 პროცენტი წყალს დღემდე ისევ გრაფიკით იღებს. მათ, ვისაც წყალი 24-საათიან რეჟიმში მიეწოდებათ, მომსახურება გაუძვირდათ. 2011 წლის 1 იანვრიდან „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ სემეკ-ის ნებართვით დედაქალაქში წყლის ტარიფი 2.40-დან 3.15 ლარამდე გაზარდა.

გაძვირდა დასუფთავების გადასახადიც. დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის წესი თბილისის საკრებულოს

ღიახაზა 1.

2011 წელს ფსახის ზედა 2010 წელთან შედარებით



■ გაუმჯობესებული მომსახურების საბაზით გაზრდილი გადასახადების წყალობით წინასაარჩევნოდ დახარჯული თანხა თბილისის მერიამ მოსახლეობიდან უკვე ამოიღო.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში თბილისში არაერთი გადასახადი გაძვირდა. გაძვირებულ გადასახადებს კი „უკეთეს მომსახურებასთან“ და „სერვისების მოდერნიზებასთან“ საერთო არაფერი აქვს.

2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით შეიცვალა. ახლა მოსახლეობა გადასახადს მოხმარებული ელექტროენერჯის პროპორციულად იხდის: კილოვატზე 0.05 თეთრის ოდენობით და არა მინოდებული სერვისის ხარისხის შესაბამისად. დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის წესის შეცვლის გამო თბილისის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს დასუფთავების გადასახადი გაიზარდა.

2011 წლის ივლისიდან 20-30 თეთრით გაძვირდა სამარშრუტო ტაქსით მგზავრობის ღირებულება. თბილისის მერიამ სამარშრუტო ტაქსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ტენდერი 2010 წლის 6 დეკემბერს გამოაცხადა. ტენდერის პირობების თანახმად, გამარჯვებულ კომპანიებს 2011

წლის ოქტომბრიდან თბილისში 3078 ყვითელი ფერის, უახლესი (2011 წელს გამოშვებული) „ფორდ-ტრანზიტის“ ტიპის, კონდიციონერით და სალარო აპარატით აღჭურვილი ახალი მიკროავტობუსები უნდა შემოეყვანათ. სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ღირებულებაც მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გარეშე გაძვირდა – ყვითელი ფერის, 2011 წელს გამოშვებული „ფორდ-ტრანზიტის“ ტიპის, კონდიციონერით და სალარო აპარატით აღჭურვილი ახალი მიკროავტობუსები მხოლოდ რამდენიმე მარშრუტზე ჩანს. იმ „მარშრუტებში“, სადაც არც კონდიციონერია და არც სალარო აპარატი, მძღოლები ამბობენ, რომ მგზავრობის ღირებულება ტენდერში გამარჯვებული სახელისუფლებო კომპანიების ზენოლის შედეგად გაიზარდა. ■



ხა ეცის PIK-ს?

რუსულენოვანი ტელეკომპანია **PIK**-ის ბრიტანულმა ადმინისტრაციამ სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტიები ხელისუფლებისგან წელიწადნახევრის წინ მიიღო. მათი წასვლის შემდეგ კი საკითხი, მიიღებენ თუ არა ასეთივე გარანტიებს ტელეკომპანიის ახალი ხელმძღვანელები, საეჭვოა.

მაია წიკლაური



ზუსტად 3 თვეში რუსულენოვან ტელეკომპანია PIK-ს ახალი მმართველობა ეყოლება. გამოცდილი ბრიტანელი ჟურნალისტი რობერტ პარსონსი, რომელიც ამჟამად PIK -ის გენერალური დირექტორია, მის მიერ მოწვეულ უცხოელ პროფესიონალებთან ერთად ტელევიზიას დატოვებს. პარსონსი სამუშაოდ „ფრანს 24“-ში ბრუნდება.

დაარსებიდან 8 თვეში ტელეკომპანია PIK -ი ახალი რეალობის წინაშე დგება: მან ახალი მმართველობის პირობებში მიღწეული შედეგების შენარჩუნება, საერთაშორისო ბაზრის გაფართოება და წინსვლა უნდა მოახერხოს.

რობერტ პარსონსმა საქართველოს ხელისუფლებისგან რუსულენოვანი საერთაშორისო არხის მართვის შეთავაზება გასულ წელს მიიღო. პარსონსი ჟურნალისტ ეკატერინე კოტრიკაძესთან ერთად ახალი არხის შექმნას 2010 წლის ივლისში შეუდგა. როგორც „ლიბერალთან“ საუბარში, ჯერ კიდევ 2010 წლის ივლისში რობერტ პარსონსი ამბობდა, მან მოლაპარაკება რამდენიმე ქართველ მინისტრთან აწარმოა, რომელთაგანაც დამოუკიდებლობის გარანტიები მიიღო. ამის შემდეგ ბრიტანელმა ჟურნალისტმა კოტრიკაძესთან ერთად კომპანია „ქეი 1“ დააფუძნა, რომელსაც 2010 წლის 15

ივლისს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით PIK -ი მართვაში გადაეცა. ეკატერინე კოტრიკაძე, ამჟამად PIK-ის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელია.

სამეურვეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი ლიკა ჩახუნაშვილი ფიქრობს, რომ „ქეი 1“-სთვის არხის გადაცემის პროცესი გაუმჭირვალე და ზედმეტად დაჩქარებული იყო. პარსონსი, როგორც არხის მართვით დაინტერესებული პირი, სამეურვეო საბჭოს 2010 წლის 14 ივლისს წარუდგინეს. იმავე დღეს საბჭომ მას „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მესამე არხი, PIK-ი ისე გადასცა სამართავად, რომ არხისათვის პროგრამული პრიორიტეტები ჯერ განსაზღვრულიც არ იყო.

„საქართველოს მთავრობამ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოსა და მენეჯმენტის ფუნქციები შეითავსა და ამ ქმედებით მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ დააყენა“, – ამბობდა ლიკა ჩახუნაშვილი „ქეი 1“-თან გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ.

გამოვიდა, რომ ბრიტანელი ჟურნალისტი რობერტ პარსონსი PIK-ის ხელმძღვანელობაში საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით აღმოჩნდა, ამან კი PIK-ის, როგორც ობიექტური ტელევიზიის იმიჯი თავიდანვე ეჭვქვეშ დააყენა. არხის დაფუძნებისთანავე PIK-ის ხელმძღვანელობას ხელისუფლებამ საკმაოდ დიდი ფინანსური დახმარება გაუწია. ამ მხარდაჭერამაც განაპირობა ის, რომ რუსეთში პოლიტიკოსების დიდი ნაწილი მას საქართველოს მთავრობის პროპაგანდისტულ არხს უწოდებს.

ეჭვების გასაფანტად და მაყურებლის ნდობის მოსაპოვებლად პარსონსმა არხზე ტელეკომპანიების „სქაი ნიუსის“, „ალ ჯაზირას“, „ბიბისის“ და „ფრანს 24“-ის ჟურნალისტები მოიწვია. მისი გათვლით, სწორედ ეს ავტორიტეტული კადრები უნდა გამხდარიყვნენ არხის საინფორმაციო დამოუკიდებლობის გარანტი.

„ეს არხი არ უნდა იქცეს პროპაგანდის იარაღად. ჩვენმა ტელეკომპანიამ, სადაც მხოლოდ პროფესიონალი ჟურ-

ნალისტები იმუშავენ, უნდა შექმნას ჟურნალისტიკის მაღალი სტანდარტები. იგი გააკრიტიკებს, როგორც ამ ხელისუფლებას, ასევე სხვა ქვეყნების მთავრობებს ამ რეგიონში“, – განმარტავდა ტელეკომპანიის მიზნებს რობერტ პარსონსი 2010 წლის ივლისში.

ამ განმარტებიდან წელიწადნახევრის განმავლობაში მხოლოდ PIK -მა საქართველოს მთავრობისგან 26 მილიონ ლარამდე დაფინანსება მიიღო, რაც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ (პირველი არხი, მეორე არხი და რადიო) ერთი წლის საბიუჯეტო დაფინანსებაზე მეტია. ტელეარხის ხელმძღვანელები განმარტავენ, რომ ამ ფულის ძირითადი ნაწილი საქართველოში ყველაზე მაღალი Full HD ხარისხის აპარატურის შეძენაზე დაიხარჯა. შედეგად, PIK-ი უკვე მზადაა 2014 წელს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად.

„ჩვენ ფული ძალიან ფრთხილად დავხარჯეთ. მივიღეთ რჩევები „ალ-ჯაზირას“ ტექნიკური დირექტორისგან. მან მომწერა 3 კვირის წინ და მომილოცა ის ფანტასტიკური შედეგები, რომელსაც ძალიან ცოტა ხანში მივაღწიეთ. ზოგიერთ ტელევიზიას ამისთვის წლები სჭირდება. ჩვენ კი რამდენიმე თვეში შევიძინეთ ძალიან კარგი ტექნიკა, ტრენინგები ჩავუტარეთ ჩვენს თანამშრომლებს. ეს ძალიან დიდი მიღწევაა“, – განაცხადა პარსონსმა.

მთავრობისგან მიღებული ფულით ტელეარხის ადმინისტრაციამ თანამშრომლებისთვის რამდენიმე ძვირადღირებული ტრენინგი ჩაატარა. ჟურნალისტურ წრეებში ხშირად საუბრობენ, რომ ტელეარხზე მონვეული უცხოელი სპეციალისტები, ასევე ქართველი ჟურნალისტები ქართულ საბაზრო ფასებთან შედარებით არაადეკვატურად მაღალ ანაზღაურებას იღებენ.

„PIK-ში ისეთი რაღაცების შესყიდვა უნევთ, რისი შესყიდვაც ან წარმოებაც მხოლოდ აქაური ბაზრისთვის ქართულ არხებს საკმაოდ იაფი დაუჯდებათ. საერთაშორისო ბაზრისთვის კი იგივე პროგრამების, საავტორო უფლებების შესყიდვა ბევრად დიდ თანხებს მოითხოვს, რადგან არხს გავრცელების

უფრო ფართო არეალი აქვს, ვიდრე მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაა. რაც შეეხება ხელფასებს, ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა. მხოლოდ გამიგია, რომ ჩვენთან არის საკმაოდ მაღალი ხელფასები, ქართული ბაზრისთვის შეუსაბამო, რაც თუკი ასეა, მეც მიმაჩნია რომ არასწორია. პირადად ჩემი ხელფასი ქართული ბაზრისაა“, – ამბობს PIK-ის ერთერთი წამყვანი ნათია კობერიძე „ლიბერალთან“ საუბრისას.

„გეგონათ მე ან ნებისმიერი საერთაშორისო ექსპერტი დასავლური ტელევიზიიდან მოვიდოდით და ქართულ ხელფასზე ვიმუშავედით? რა თქმა უნდა, ამაზე არცერთი ჩვენგანი არ დათანხმდებოდა. ჩვენ ოთხნი ჩამოვედით და შესაბამისად უფრო მაღალი ხელფასები გვაქვს.“ – ამბობს პარსონსი „ლიბერალთან“ წლის დასაწყისში ჩანერილ ინტერვიუში.

ტელეკომპანიის განვითარებაზე დახარჯული მილიონები მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების ერთ-ერთ მიზეზადაც სახელდება. ტელეკომპანიის ხელმძღვანელობასთან დაახლოებული პირის ინფორმაციით, არხის ადმინისტრაციას სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს. არხმა წელიწადნახევრის განმავლობაში ორი ფინანსური დირექტორი გამოიცვალა. მთავრობის რამდენიმე გავლენიანი წევრი კი პირად საუბრებში არ მალავს, რომ ვჰ-მა თანხა არამიზნობრივად დახარჯა და ამ ფულის დიდი ნაწილი წყალში გადაყრილად მიაჩნია.

„გაზაფხულზე ჩატარდა აუდიტორული შემოწმება, რომელმაც საკმაოდ სერიოზული დარღვევები გამოავლინა. ტელევიზიის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას უმტკივნეულოდ წასვლა შესთავაზეს, რადგან სახელისუფლებო გუნდს ამ არხის გარშემო ხმაური არ აწყობს“, – ამბობს „ლიბერალის“ კონფიდენციალური წყარო.

ის რომ, ტელეკომპანიას ფინანსური დარღვევები აქვს, „ლიბერალთან“ საუბარში უარყო რობერტ პარსონსმა. ის ამ თემაზე მოკლე კომენტარს აკეთებს – ამბობს, რომ თანხები არხმა „საკმაოდ გონივრულად“ დახარჯა. მას-



ფოტო: ლევან სპრინკულაძე

■ ზოგჯერ შეიძლება ბრაზდებოდნენ (მთავრობის წევრები), თუმცა ჩვენთვის არავის მოუცია მითითება“ – ამბობენ ტელეკომპანიის ხელმძღვანელები. იმ საკითხებიდან, რაზეც მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი ბრაზდებოდა, პარსონსი 26 მაისის მოვლენების გაშუქებას და დიმიტრი მედვედევის ინტერვიუს გამოყოფს.

თან საუბრისას იგრძნობა, რომ არხის ფინანსებისგან განსხვავებით, უფრო კომფორტულად თავს არხის განვითარების კონცეფციაზე საუბრისას გრძნობს. თამამად საუბრობს არხის სამომავლო პერსპექტივებზე და იმ საფრთხეზე, რომ მისი წასვლის შემდეგ შესაძლოა საქართველოს მთავრობამ არ მოინდომოს ტელევიზიის განვითარება.

„თუ ჩვენ წავალთ, ხალხი ამ არხს შეხედავს სხვაგვარად... ძალიან სახიფათო

სიტუაცია იქნება. ტელევიზიის სანდოობა შემცირდება. უფრო მარტივია რუსი კრიტიკოსებისთვის აკრიტიკო არხი და თქვა, რომ ეს ქართული პროპაგანდაა. ყველაფერი შეცდომად შეიძლება აღიქვან და თქვან, რომ რაღაც არ არის სიმართლე, არ არის ობიექტური“, – ამბობს რობერტ პარსონსი.

მასთან საუბრისას შეიძლება, ისეთი შთაბეჭდილებაც დაგრჩეთ, რომ პარსონსმა ხელისუფლების წარმომადგენ-

ლებთან PIK-ის განვითარების კონცეფციის შესახებ კონსენსუსს ვერ მიაღწია. 25-წუთიანი ინტერვიუს განმავლობაში პარსონსი რამდენჯერმე უბრუნდება იმ საკითხს, რომ თუ ხელისუფლებას საერთაშორისო სტანდარტების, ხარისხიანი ტელევიზია უნდოდა, მაშინ დიდი დანახარჯებისთვისაც უნდა ყოფილიყო მზად. არხის ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ ტელეკომპანიის განვითარებისთვის დღემდე გამოყოფილი 26 მილიონი ლარი

არასაკმარისია.

„ყველა საერთაშორისო სეროიზული პრეტენზიების მქონე ტელევიზიას, ჩვენს მსგავს ტელევიზიას, უნდა ჰყავდეს წარმომადგენლობა რუსეთში, აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში, ირანში, ისრაელში, ამერიკის შეერთებული შტატების რუსულ საზოგადოებაში. მე მესმის, რომ ფინანსები შეზღუდულია, ჩვენ კი ამ მომენტისთვის მთლიანად მთავრობაზე ვართ დამოკიდებული. მაგრამ თუ შენ გინდა აკეთო საერთაშორისო დონის ტელევიზია, შენ მზად უნდა იყო. თუ არ გექნება სრული ბიუჯეტი და გექნება მხოლოდ ნახევარი, მაშინ არაფერი გამოვა, ხალხი გაიცინებს ამაზე. თუ შემდეგ წელს ჩვენ არ განვითარდებით, ხალხი შეწყვეტს ჩვენს ყურებას. მთავრობაში და „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ უნდა ესმოდე, რომ მათ სჭირდებათ განვითარება, სხვაგვარად ვერ იმუშავებენ“, – განაცხადა „ლიბერალთა“ საუბრისას რობერტ პარსონსმა.

PIK-ი სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და ახლო აღმოსავლეთში სატელიტური სიგნალით ვრცელდება. მომხმარებლის უმრავლესობა მას ინტერნეტის საშუალებით უყურებს. არხის ხელმძღვანელობა ამყობს ვებგვერდით, რომელსაც ბოლო პერიოდში თვეში 800 ათასი მნახველი ჰყავს. 2011 წლის იანვრიდან დღემდე კი ვებგვერდი 2 მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა. საიტზე პროცენტულად ყველაზე მეტი მომხმარებელი – 57 პროცენტი – რუსეთიდან შედის, მნახველთა რაოდენობით მეორე ადგილზე უკრაინაა – 10 პროცენტით, მესამე კი საქართველო – 8 პროცენტით.

„წარმოიდგინეთ, ბოლო გამოკითხვებით, რუსეთში თვლიან, რომ საქართველო არის უდიდესი სახელმწიფო, 50-მილიონიანი მუსლიმი მოსახლეობით და ამერიკამდე რუსეთის პირველი მტერი ვიყავით“, – ასე გვიხსნის PIK-ის დანიშნულებას არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსი და არხის მომავალი დირექტორი, ეკატერინე კოტრიკაძე. ის ამბობს, რომ ეს არის არხი, რომელმაც რუსულენოვან სამყაროში საქართველოს შესახებ ინფორმაცია უნდა გაავრცელოს და კა-

ვკასიელ ხალხებს შორის კონფლიქტების დარეგულირებას შეუწყოს ხელი.

ამ არხზე სარედაქციო დამოუკიდებლობით ამყობენ. რობერტ პარსონსი არ მალავს, რომ სარედაქციო პოლიტიკაში ჩაურევლობის გარანტია მან ხელისუფლების წარმომადგენლებისგან პირადად მიიღო და ეს დაპირება დღემდე არცერთ მათგანს არ დაურღვევია, არ ჩარეულან ტელევიზიის საქმიანობაში.

„ზოგჯერ შეიძლება ბრაზდებოდნენ რაღაცაზე [მთავრობის წევრები], თუმცა ჩვენთვის არავის მოუცია მითითება“, – ამბობენ ტელეკომპანიის ხელმძღვანელები. იმ საკითხებიდან, რაზეც მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი ბრაზდებოდა, პარსონსი 26 მაისის მოვლენების გაშუქებას და დიმიტრი მედვედევის ინტერვიუს გამოყოფს. მედვედევის ინტერვიუზე საუბარი არ სიამოვნებს ეკატერინე კოტრიკაძეს, რომელიც რუსეთის პრეზიდენტთან პირადად იყო მიწვეული, როგორც PIK-ის წარმომადგენელი. ისე გამოვიდა, რომ PIK-ის ეთერით, რომელიც იანვარში საქართველოს პრეზიდენტის რამდენიმე საათიანი ინტერვიუთი გაიხსნა, 8 თვის თავზე რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტს „უკონტროლო“, „იდიოტური ავანტიურის ავტორი“ და „სულელი“ უწოდა.

„ლიბერალის“ კითხვაზე – მედვედევთან ინტერვიუს შემდეგ შეიცვალა თუ არა PIK-ის მიმართ საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება, კოტრიკაძემ ალელვებით უპასუხა:

„მედვედევისგან რას ელოდებოდით? ვიცოდი, რომ ამ ყველაფერს იტყოდა... ნებისმიერ ნეგატივს ველოდი მისგან. ძალიან მინდოდა, მეთქვა, რომ იტყუებოდა ეს ადამიანი. მინდოდა, ავმდგარიყავი და გავსულიყავი... პრესსამსახურმა გვთხოვა, რომ იქ დებატები არ ყოფილიყო. ეს იყო მათი ძალიან „ჟოსტიკი“ წინაპირობა იმისა, რომ ინტერვიუ ჩაწერილიყო“.

პარსონსის ინფორმაციით, ეკატერინე კოტრიკაძე არხის დირექტორის თანამდებობას 2012 წლის იანვრიდან დაიკავებს. PIK-ს შეუერთდება მეორე ქართული რუსულენოვანი არხი „რეგიონ ტვ“.

არხზე კიდევ ერთი ცვლილება – PIK-ის ახალ მმართველობაში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა ალექო ფარულავა ხდება. ფარულავა ბოლოს „პირველი არხის“ დირექტორის მოადგილედ დაინიშნა, მანამდე ის ამავე თანამდებობაზე ტელეკომპანია „იმედი“ მუშაობდა, ასევე ხელმძღვანელობდა ტელეკომპანიებს „მზესა“ და „ალანიას“.

„ფარულავა იქნება კატისა მოადგილე. კატია იქნება მისი ბოსი. ალექო ფარულავას არ ექნება შეხება სარედაქციო პოლიტიკასთან. მისი ფუნქციები იქნება ადმინისტრაცია და ფინანსები. ადამიანური რესურსების პოლიტიკასაც კატია გადანეყვებს“, – ასე განმარტავს საკადრო ცვლილებას PIK-ის დირექტორი რობერტ პარსონსი.

პარსონსი ფიქრობს, რომ არხის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ PIK-ს შესაძლოა სარედაქციო დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე შეექმნას. მისცემენ თუ არა საქართველოს მთავრობის წევრები იმავე გარანტიებს ეკატერინე კოტრიკაძეს და ალექო ფარულავას, რაც თავის დროზე ბრიტანელ ჟურნალისტს და მის გუნდს მისცეს?

„კატია ძალიან დინამიურია, ძალიან კარგი განათლება აქვს ჟურნალისტიკაში, კარგად ესმის საერთაშორისო მედია. ის ახალი თაობის საუკეთესო წარმომადგენელია, საუბრობს შესანიშნავი ინგლისურით და ვფიქრობ, არხის ძალიან წარმატებული დირექტორი იქნება. თუმცა მას სჭირდება მხარდაჭერა, რადგან 27 წლისაა. მე დარწმუნებული ვარ, რომ მასზე ზეწოლა იქნება და უფრო ადვილია მასზე ზეწოლა, რადგან ის ქართველია. მე კარგად მესმის ეს და კატისაც ესმის“, – ამბობს პარსონსი, რომელსაც სურს, რომ მისი გუნდის წასვლის შემდეგ არხის წინსვლისა და სარედაქციო დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად უცხოელი სპეციალისტებით დაკომპლექტებული საბჭო შეიქმნას. საბჭო, რომელიც „კატისა გაუმაგრებს ზურგს, მისცემს ძალას და გამბედაობას, დაარწმუნებს საკუთარ თავში, რომ სწორად მართოს კომპანია“.

პარსონსი ფიქრობს, რომ აქამდე სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტი




ფოტო: ლევან სოსო

PIK-ის ეთერით, რომელიც იანვარში საქართველოს პრეზიდენტის რამდენიმესაათიანი ინტერვიუთი გაიხსნა, 8 თვის თავზე რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტს „უკონტროლო“, „იდიოტური ავანტიურის ავტორი“ და „სულელი“ უწოდა.

მისი გუნდის წევრები დევიდ ჩეტერი, მელანი ენსტი, ზურაბ კოდალაშვილი იყვნენ. ამ გუნდის წასვლის შემდეგ, ქართული ხელმძღვანელობის პირობებში PIK-ის იმიჯი, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება და შესაძლოა მისი სანდოობაც შემცირდეს.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამე-
თვალყურეო საბჭოს მიერ ნაჩქარევად


მიღებული გადაწყვეტილება და ის ფა-
ქტი, რომ რობერტ პარსონსი PIK-ში სა-
ქართველოს ხელისუფლების მხარდაჭე-
რით აღმოჩნდა, ლოგიკურად ბადებს
ეჭვს, რომ დღესაც არსზე ცვლილებები
ხელისუფლების წარმომადგენლების
სურვილის გარეშე ვერ განხორციელდე-
ბა და ტელეკომპანიის სამომავლო გან-
ვითარებაც მის კეთილ ნებაზე იქნება
დამოკიდებული. 

ამავე თემაზე ვებზე

ინტერვიუ რობერტ პარსონსთან
მთავრობის გარანტიები „პირველ
კავკასიურს“

ლია ჩახუნავაძის გლოში
„პირველი კავკასიური“: რეორგა-
ნიზაცია 7 დღეში

www.liberali.ge



ახალი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა

მთავრობის ინიციატივა – უნივერსალური კონკურენციის სააგენტო
მარეგულირებლების გარეშე?

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“

თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული ბიზნეს გარემოს მნიშვნელობას არაერთი აკადემიური კვლევის შედეგები ადასტურებს. უდავოა, რომ კონკურენციის პოლიტიკა (იგივე, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, როგორც ის ხშირად იწოდება ამერიკის შეერთებულ შტატებში) ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდას

გლობალურ ბაზარზე. კერძოდ, თავისუფალი კონკურენცია განაპირობებს საქონლის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ფასების დარეგულირებას (მათ შორის შემცირებას), დამატებით ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას, პროდუქტიულობის ამაღლებას და, შესაბამისად,

საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას.

2010 წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“, რადგან კონკურენცია ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი



■ **ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი სააგენტოს**

(კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს) ხელში

წარმოშობს სერიოზულ საფრთხეს, რომ კონკურენციის სფერო არ იქნება ეფექტურად დარეგულირებული და სახელმწიფოსა და მასთან დაახლოებული ბიზნეს ორგანიზაციების ინტერესები მაქსიმალურად იქნება დაცული.

ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გასაფორმებლად (DCFTA) მოლაპარაკებების დასაწყებად. ამ დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს მთავრობას დაგეგმილი აქვს კონკურენციის სფეროში ინსტიტუციონალური ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს რეფორმა, რაც კონკურენციის სააგენტოს ჩამოყალიბებას გულისხმობს, რომელიც კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი ერთადერთი უწყება იქნება და კონკურენციის სფეროში არსებული სექტორული მარეგულირებლის ფუნქციებს შეითავსებს.

დოკუმენტი ითვალისწინებს კონცენტრაციების (კომპანიების სრული ან ნაწილობრივი შერწყმის, პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის მოპოვების) შემდგომი რეგულირების შემოღებას იმ ლიბერალურ სექტორებში, სადაც რეგულირება არ ხორციელდება. ასევე, წინასწარი რეგულირების განხორციელებას იმ სექტორებში, სადაც რეგულირებას დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები ახორციელებს.

სტრატეგია ასევე გულისხმობს კომპანიების მიერ კონკურენციის სააგენტოსთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნას თავიანთ სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა კომპანიასთან გაერთიანებას ან სხვა კომპანიაზე (პირდაპირი ან არაპირდაპირი) კონტროლის მოპოვებას ეხება – თუკი დღეს მოქმედი კანონმდებლობით, კომუნიკაციების სფეროში მომუშავე კომპანიამ შეტყობინება უნდა გაუგზავნოს შესაბამისი სექტორის მარეგულირებელს, ახალი სტრატეგიის მიხედვით, მომავალში ეს მონაცემები მხოლოდ კონკურენციის სააგენტოს უნდა მიენდოს. ეს ცვლილება შეიძლება შეფასდეს, როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციების არსებითად შეზღუდვა, როგორცაა, მაგალითად, ბაზარზე კონკურენციის კვლევა, საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების გამოვლენა და მათთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება, სხვადასხვა ტარიფების რეგულირება.

ამ ფუნქციების გარეშე მარეგულირებელი ორგანოს მიერ მისი უფლებამოსილებების წარმატებით და ეფექტურად განხორციელება შეუძლებელი იქნება. სტრატეგიაში შემოთავაზებული მოდელით მივიღებთ, ერთი მხრივ, კონკურენციის რეგულირების სფეროში მოქმედ სააგენტოს უნივერსალური ფუნქციებით, ხოლო მეორე მხრივ – დაკნინებულ სექტორულ მარეგულირებელ ორგანოებს (ასეთებია, კომუნიკაციების ეროვნული კომისია და ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია).

კონკურენციის ეროვნული სტრატეგია ახალი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებასაც მოიცავს. გასულ კვირას საქართველოს მთავრობამ პარლამენტში განსახილველად შეიტანა ახალი კანონპროექტი „თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტი, ისევე როგორც თვით სტრატეგია, საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესრულების მიზნით მომზადდა. ამასთან იგი სტრატეგიაში მოცემულ „ინიციატივებს“ საკანონმდებლო დონეზე აფორმებს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი თავის

წინამორბედთან შედარებით პოზიტიურ ინოვაციებს შეიცავს, საქართველოს მთავრობა სრულფასოვნად ვერ განახორციელებს კონკურენციის გარემოს ევროპული სტანდარტების შესაბამისად რეგულირებასა და კონკურენციის სფეროს ყოვლისმომცველ რეფორმირებას.

რა არის ახალი

კანონპროექტის დებულებები, მთლიანობაში, შეესაბამება კონკურენციის სფეროში არსებულ ევროკავშირის რეგულაციებს. კერძოდ:

▶ კანონპროექტი არ კრძალავს ბაზარზე კომპანიის/კომპანიების მონოპოლიურ (დომინირებულ) მდგომარეობას, აკრძალულია მხოლოდ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

▶ კანონპროექტი აწესებს მონოპოლიური მდგომარეობის განსაზღვრის წესს, კერძოდ კომპანია (ასევე ურთიერთდამოკიდებული კომპანიები) მონოპოლისტად ჩაითვლება თუ მას შესაბამისი ბაზრის (საბაზრო ბრუნვის) არანაკლებ 40 პროცენტი უკავია.

▶ კანონპროექტი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც კომპანია ან ურთიერთდამოკიდებული კომპანიები ბოროტად იყენებენ დომინირებულ პოზიციას და ადგილი აქვს ისეთი სახის ხელშეკრულებებს, გადანყვებილებებს და შეთანხმებულ ქმედებებს, რომელიც მიზანმიმართულად და არამართლმომიერად ზღუდავს კონკურენციას (მაგალითად, კომპანია აწესებს შეთანხმებულ ფასს მომხმარებელთა საზიანოდ).

▶ კანონპროექტი, ასევე, ითვალისწინებს კონცენტრაციების (კომპანიების სრული ან ნაწილობრივი შერწყმის, პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის მოპოვების) რეგულირების შემოღებას, კრძალავს ნებისმიერი ფორმით სახელმწიფო დახმარებას, რომელიც კონკურენციას ზღუდავს ან მისი შეზღუდვის საშუალებას ქმნის და ა.შ.

ნაკლოვნებები

მიუხედავად შემოთავაზებული პროგრესული ცვლილებებისა, კანონპროექტს ასევე ახასიათებს რიგი ნაკლოვანებები, კერძოდ:

▶ კანონპროექტი ითვალისწინებს „კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ შექმნას, რაც არ იყო გათვალისწინებული კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველ სტრატეგიაში. შედეგად, ახალშექმნილი სააგენტო პასუხისმგებელი იქნება როგორც კონკურენციის კანონმდებლობის, ასევე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის აღსრულებაზე. შესაბამისად, კანონპროექტით მოიაზრება დღეს მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ჩანაცვლება ახალშექმნილი სააგენტოს მიერ. საგულისხმოა ის, რომ აღნიშნული ფუნქციები განსხვავებულია თავისი არსით, ხოლო მათი გაერთიანება და ერთი სააგენტოსთვის დაკისრება არ იქნება უპრიანი, როგორც კონკურენციის პოლიტიკის ეფექტურად აღსრულების, ასევე სახელმწიფო შესყიდვების ეფექტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.

▶ კანონპროექტი უპირატესობას ანიჭებს სხვა კანონს იმ შემთხვევაში,

თა მონიტორინგის და კანონის აღსრულების უზრუნველყოფის ფუნქციას საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ანიჭებს (მუხლი 31.8). თუმცა, ამავდროულად კანონპროექტის გარდამავალი დებულების (მუხლი 35.1) მიხედვით, კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი ერთადერთი უწყების შექმნა კვლავაც დღის წესრიგში რჩება, რაც შეეხება კომისიის ანიჭებას (მუხლი 31.8). თუმცა, ამავდროულად კანონპროექტის გარდამავალი დებულების (მუხლი 35.1) მიხედვით, კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი ერთადერთი უწყების შექმნა კვლავაც დღის წესრიგში რჩება, რაც შეეხება კომისიის ანიჭებას (მუხლი 31.8). თუმცა, ამავდროულად კანონპროექტის გარდამავალი დებულების (მუხლი 35.1) მიხედვით, კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი ერთადერთი უწყების შექმნა კვლავაც დღის წესრიგში რჩება, რაც შეეხება კომისიის ანიჭებას (მუხლი 31.8).

■ მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი თავის წინამორბედთან შედარებით პოზიტიურ ინოვაციებს შეიცავს, საქართველოს მთავრობა სრულფასოვნად ვერ განახორციელებს კონკურენციის გარემოს ევროპული სტანდარტების შესაბამისად რეგულირებასა და კონკურენციის სფეროს ყოვლისმომცველ რეფორმირებას.

თუ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის“ კანონით გათვალისწინებულ საკითხებს სხვა კანონი სპეციფიკური ურთიერთობებისათვის განსხვავებულად არეგულირებს (მუხლი 1.5). მიგვაჩნია, რომ კანონპროექტი უფრო მკაფიოდ და ზუსტად უნდა განსაზღვრავდეს საკანონმდებლო აქტებთან ურთიერთდამოკიდებულების ასპექტებს, რათა თავად „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის“ კანონის არსის აღსრულებას არ შეექმნას საფრთხე.

▶ კანონპროექტი ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში წინასწარი რეგულირების, ავტორიზებულ პირ-

ლი ორგანოს ძირითად ფუნქციებს, წინააღმდეგობებს შექმნის კონკრეტული სექტორის რეგულირების სფეროში და, სავარაუდოდ, მარეგულირებელი ორგანოს გაუქმებას გამოიწვევს.

ამ სიახლეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოში კონკურენტული გარემოს ეფექტურად რეგულირებისათვის. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინებაც, რომ კონკურენციის პოლიტიკასა და რეგულაციას შორის არსებითი განსხვავება არსებობს. კერძოდ, თუ კონკურენციის ორგანოს ფუნქციები, ძირითადად, შემოიფარგლება საწარმოს სამენარმეო საქმიანობის კა-

ნონიერების შემონახვით, სექტორულ მარეგულირებლებს გააჩნიათ უფრო ფართო უფლებამოსილებები, როგორცაა, მაგალითად, სანარმოს სატარიფო ან საინვესტიციო გადაწყვეტილებების კონტროლი. კონკურენციის ორგანოები ამონებენ განსაზღვრული სამენარმეო პრაქტიკის კანონთან შესაბამისობას და ამის შემდეგ ახდენენ შესაბამის რეაგირებას (ex-post), ანუ მას შემდეგ, რაც კომპანიის მიერ ბაზარზე გარკვეული ქმედება უკვე განხორციელდა. მაშინ, როდესაც კონკრეტული სექტორის მარეგულირებელი ორგანოები (მაგ. კომუნიკაციების, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ორგანოები) რეაგირებას ახდენენ წინასწარ (ex-ante), შესაბამისად, აძლევენ/ან არ აძლევენ ავტორიზაციას განსაზღვრულ სამენარმეო ინიციატივას. შედეგად, მათ მიერ სექტორის რეგულირება გრძელვადიანი და უწყვეტი პროცესია, ხოლო კონკურენციის ორ-

განოს ჩარევა, ხშირად შემთხვევით ხასიათს ატარებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიიჩნევს, რომ ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი სააგენტოს (კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს) ხელში წარმოშობს სერიოზულ საფრთხეს, რომ კონკურენციის სფერო არ იქნება ეფექტურად დარეგულირებული და სახელმწიფოსა და მასთან დაახლოებული ბიზნეს ორგანიზაციების ინტერესები მაქსიმალურად იქნება დაცული. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ სხვადასხვა ბიზნესსექტორში მოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებლებისა და კონკურენციის სააგენტოს ფუნქციების ეფექტური გამიჯვნით შეიძლება ქვეყანაში განვითარდეს კონკურენტული გარემო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით და ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად. ასევე, სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგა-

ამავე თემაზე ვებზე

ორი აზრი
უნდა დაბრუნდეს თუ არა ანტიმონოპოლიური რეგულირება?

მომხრები
დავით ონოფრიშვილი
მონინააღმდეგა
ვახტანგ მეგრელიშვილი

www.liberali.ge

ნობის სტრუქტურის მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია (როგორცაა, ამ სტრუქტურაში დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს არსებობის მოდელიდან, „კვაზი“ მარეგულირებლის არსებობის/ან საერთოდ მარეგულირებლის არარსებობის მოდელზე გადასვლა) პრაქტიკულად ეკონომიკის მართვის არსებული მოდელის არსებითი კორექციის მცდელობაა. ქვეყნის ინსტიტუტების ასეთი რადიკალური მოდიფიკაციის მიზანშეწონილობა კი საფუძვლიან დასაბუთებას მოითხოვს. **□**

Radio *Commersant*

marketing@commersant.ge
+995 32 505 955

ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

ფოტორეპორტაჟი

სუდისნათვის მეზღორონი

მარიამ ამურველაშვილი










დუხოზორების სექტა რუსეთში, ვორონეჟისა და ტამბოვის ოლქებში მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. დუხოზორები უარყოფდნენ მეფის ავტორიტეტს და ამავედროულად, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა საწყისებს, რის გამოც ისინი მე-19 საუკუნის დასაწყისში ტრანსკავკასიაში გადაასახლეს. იმ დროისათვის ეს ადგილები დაუსახლებელი იყო, დუხოზორების ნაწილი გადასახლების დროს დაიღუპა. 1841 წელს მათ სამხრეთ საქართველოს მთიან რეგიონში – ჯავახეთში რამდენიმე სოფელი დააარსეს: გორელოვკა, ორლოვკა, სპასოვკა, ეფრემოვკა, ტამბოვკა. მათი მეზობლები იყვნენ როგორც გრეგორიანელი, ასევე კათოლიკე სომხები, რომლებიც 1829 წელს თურქეთიდან გადმოსახლდნენ.





მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა, დუხობორებმა მჭიდრო დასახლება შექმნეს, რომელიც დაუნერეღი, მაგრამ მკაცრი კანონებით ცხოვრობს. ისინი ტრადიციებს ზედმიწეენით იცავენ. ეს არის დასახლება, რომელიც სხვებისთვის დახურულია. 90-იან წლებში დუხობორები მასობრივად გადასახლდნენ რუსეთში, ადგილობრივებმა კი მათი სახლები დაიკავეს. დუხობორები ამბობენ, რომ ახალმა მოსახლეობამ დაარღვია მათი დაუნერეღი კანონები და საფრთხე შეუქმნა მათ იდენტობას. ისინი მიიჩნევენ, რომ საფრთხე ემუქრებათ, ამიტომაც ნელ-ნელა ტოვებენ საქართველოს, არადა სწორედ საკუთარი ტრადიციების დაცვამ შეინარჩუნა 150 წელზე მეტ ხანს „დუხობორია“ – ეს პატარა, მაგრამ უნიკალური ეთნიკურ-რელიგიური ჯგუფი. 





კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი



საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსულობა მსოფლიოში

მაია ედილაშვილი, თბილისი

ნახვები

2007 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უპრეცედენტო ზრდის შემდეგ, საქართველოს ამ ინვესტიციების თანდათანობითი შემცირება ანუხებს. როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ქვეყანა უმწვავესი პრობლემის წინაშე დგას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა ან ისევე მკვეთრად უნდა გაიზარდოს ან უნდა მოხდეს ეკონომიკის მალაპოტენციური სექტორების სტიმულირება, რომ შენარჩუნდეს მშპ-ის ზრდა და ინვესტორების ნდობა სრულად აღდგეს.

მოსალოდნელზე გვირად ნაკლები

უაღრესად მძიმე საინვესტიციო გარემოს მიუხედავად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მიხეილ სააკაშვილის მთავრობისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი გახდა იმ დღიდანვე, როცა ის ხელისუფლებაში მოვიდა და რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გატარება დაიწყო. მთავრობის შეფასებების თანახმად, საქართველოს ეკონომიკა რომ გადარჩეს, ყოველწლიურად დაახლოებით 2 მილიარდი აშშ დოლარის უცხოური კაპიტალის შემოდინებაა აუცილებელი. 2007 წელს ეს მიზანი მიღწეულ იქნა. მაშინ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა ორჯერ და მეტად გაიზარდა და 2.15 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც მშპ-ის 19.8% იყო. ამ მაჩვენებელს, ძირითადად, პრივატიზაციის წყალობით მიაღწია.

უცხოური კაპიტალის ეს არნახული შემოდინება მთავრობის ძალისხმევით შედეგი იყო. მან მოახერხა ბიზნესის წარმო-

ბის წესების გამარტივება და საგადასახადო სისტემის რეფორმირება, რის შედეგადაც თავდაპირველად არსებული 21 გადასახადიდან ქვეყანაში მხოლოდ ექვსი დარჩა, ხოლო 15 საბაჟო პროცედურიდან – მხოლოდ შვიდი. თავისი როლი ითამაშა გადასახადების შემცირებამაც. დამატებითი ლირეზების გადასახადი (დღგ) 20%-დან 18%-მდე შემცირდა, მოგების გადასახადი – 20%-დან 15%-მდე, ხოლო გადასახადი დივიდენდებზე – 10%-დან 5%-მდე.

მაგრამ მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, 2008 წლის აგვისტოს ომმა და შემდგომმა მოვლენებმა ზრდა შეაფერხა. 2008 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა მკვეთრად შემცირდა და 1.56 მილიარდ დოლარამდე დაეცა, 2009 წელს კი – 658 მილიონ აშშ დოლარამდე. ამ სევდიანი სურათის მიუხედავად, მთავრობას ოპტიმიზმი არ დაუკარგავს. მაგალითად, პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური 2010 წელს უცხოური კაპიტალის სახით 1.2 მილიარდი აშშ დოლარის შემოდინებას წინასწარმეტყველებდა, თუმცა მიზანი ვერ

იქნა მიღწეული. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემებით, 2010 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა 16%-ით შემცირდა და 553 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ეს მშპ-ის 4.7 პროცენტია, რაც არა მხოლოდ კრიზისის წინა პერიოდზე ნაკლებია, არამედ 2004 წლის შემდგომი პერიოდისათვისაც სარეკორდოდ დაბალი მაჩვენებელია.

საქართველო - სანიმუშო რეკორდატორი

საქართველოს მშპ-ის ზრდის ტემპი 2004 წელს შედარებით დაბალი იყო და 5.9%-ს შეადგენდა, 2007 წელს კი 12.3%-ს მიაღწია. მიჩნეულია, რომ მთავრობას ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნასა და კორუფციის აღმოფხვრაში წარმატებებისათვის რომ არ მიეღწია, ეს შეუძლებელი იქნებოდა.

მსოფლიო ბანკის ინიციატივით დაარსებული Investing Across Borders, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის შექმნილ გარემოს აფასებს, აცხადებს, რომ საქართველო უცხოელი ინვესტორებისათვის ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი ქვეყანაა. თავის ანგარიშში ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ ის ქვეყნები, რომლებსაც მისი შეფასებით კარგი მაჩვენებლები აქვთ, თავიანთი ეკონომიკისა და მოსახლეობის ზომების გათვალისწინებით უფრო მეტ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას იზიდავენ. ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ საქართველოში ბიზნესის დასაწყებად საჭირო პროცედურების გასაწვლად „ერთ კვირაზე ნაკლები“ (4 დღე) იხარჯება, ჰაიტისა და ანგოლაში კი ამას შეიძლება ნახევარი წელიწადი დასჭირდეს. საქართველოში მთავრობისაგან მიწის იჯარით ასაღებად 50 დღეა საჭირო, ბულგარეთში კი იმავე მიზნის მისაღწევად 351 დღე დაგჭირდება.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ყოველწლიური მიმოხილვის თანახმად, რომელშიც ქვეყნების რანგირება ბიზნესისათვის შექმნილი გარემოს მიხედვით ხდება, 2006 წელს საქართველო დსთ-ის რეგიონში საუკეთესო რეფორმატორი გახდა. ანგარიშში „ბიზნესის წარმოება 2011: გარემოს შეცვლა მენარმეებისათვის“ საქართველო ბიზნესგარემოს რეფორმირების თვალსაზრისით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მსოფლიოს საუკეთესო ათეულში შედის, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანამ ბიზნესისათვის გარემოს გაუმჯობესების საქმეში წინ „დიდი ნაბიჯები გადადგა“.

ამას გარდა, მთელ მსოფლიოში სახელმწიფო სექტორში კორუფციის დონის ერთ-ერთი ყველაზე სანდო შემფასებლის, Transparency International-ის კორუფციის აღქმის ინდექსის თანახმად, 178 ქვეყანას შორის საქართველო 68-ე ადგილზეა. 2010 წელს საქართველოში კორუფციის აღქმის ინდექსი 3.8 იყო, 2002 წელს კი - 2.2. შესწავლილ ათ სფეროში სიტუაცია „სუფთაა“, „უაღრესად კორუმპირებული“ კი არცერთი არ აღმოჩნდა. შედარებისათვის, სომხეთი ამ სიაში

123-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი კი - 134-ზე. საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატებს, მონტენეგროს, სერბეთს, ალბანეთსა და ბოსნია-ჰერცეგოვინასაც გაუსწრო.

ეკონომიკის მხარდაჭერა

ზრდის უმთავრეს მამოძრავებელ ძალას, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, საქართველოს ბოლო ათი წლის მიმდინარე ბალანსის დეფიციტის დაფინანსებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

2007 წელს, როცა ეკონომიკა სწრაფი ტემპით იზრდებოდა, საქართველოში მიმდინარე ბალანსის დეფიციტი 2 მილიარდი აშშ დოლარი იყო, მშპ-ის დაახლოებით 11.8%. კრიზისის შემდეგ საგარეო ბაზრებზე შემცირებულმა მოთხოვნამ და ფასების დრამატულმა ვარდნამ მიმდინარე ბალანსის დეფიციტი 2009 წელს მშპ-ის 11.7%-მდე შეამცირა, 2010 წელს კი - მშპ-ის 10%-მდე.

მიმდინარე ბალანსის დეფიციტის შემცირება საქართველოს ცენტრალურმა ბანკმა სავაჭრო ბალანსში მომხდარი ცვლილებებით ახსნა. 2009 წელს სავაჭრო დეფიციტი 32.5%-ით შემცირდა და 3.24 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, 2008 წელს კი ეს უკანასკნელი 4.56 მილიარდი აშშ დოლარი იყო. ეს მაჩვენებელი 2010 წელს მხოლოდ მცირედით, 9%-ით გაიზარდა და 3.52 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

მიუხედავად ამისა, როგორც მიიჩნევენ, ამჟამინდელი 10%-იანი მიმდინარე ბალანსის დეფიციტი რეგიონის სხვა მზარდ ბაზრებთან შედარებით მაინც დიდია. უცხოელი სპეციალისტები, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, მიიჩნევენ, რომ თუ საქართველომ 2011 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ვერ მიიღო, მშპ-ის ზრდა შეჩერდება, ფისკალური დეფიციტი კი გაიზარდება. მათი რეკომენდაციით, საშუალოვადიან პერსპექტივაში მიმდინარე ბალანსის დეფიციტი მშპ-ის დაახლოებით 5-6%-მდე უნდა შემცირდეს.

ზრდის პოტენციალის გამოყენება

საქართველოს მთავრობის აზრით, კრიზისის შემდგომ გარემოში მხოლოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრ ზრდაზე იმედის დამყარება ზრდის უზრუნველსაყოფად შეიძლება საკმარისი აღარ იყოს და უფრო პროაქტიური მიდგომა გახდეს საჭირო. ადგილობრივი ეკონომისტები თანხმდებიან იმ საკითხზე, რომ წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად და კერძო ინვესტიციების მოსაზიდად ხელისუფლებამ ყურადღება ზრდის მაღალი პოტენციალის მქონე სექტორებზე, მათ შორის სოფლის მეურნეობასა და ენერგეტიკაზე უნდა გადაიტანოს.

მონიშნულმდეგები სააკაშვილის მთავრობას გამუდმებით აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ 2005 წელს მშპ-ში სოფლის

მეურნეობის 14.8%-იანი წილის 2010 წელს 8.4%-მდე დაცემა დაუშვა. საქართველოში ყოველწლიურად მოხმარებული ბოსტნეულისა და ხილის 50%-ზე მეტი უცხოეთიდან შემოდის, ამ სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა კი კვლავაც დაბალია და 2010 წელს 2%-ზე ნაკლები შეადგინა. კრიტიკოსების საპასუხოდ, პარლამენტისადმი თავის ყოველწლიურ მიმართვაში პრეზიდენტმა სააკაშვილმა პირობა დადო, რომ 2015 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის მოცულობა გაორმაგდება და ეს დარგი დამატებით 150 მილიონ ლარს (90 მილიონ აშშ დოლარს) მიიღებს.

ენერგეტიკის სექტორის სრულიად ხელუხლებელი პოტენციალიც ასევე შთამბეჭდავი ჩანს. თუ 2005 წელს საექსპორტოდ დაახლოებით 3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 122 ათასი კვტ/სთ ელექტროენერგია გადიოდა, 2010 წელს პირველმა მაჩვენებელმა 37 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა, მეორემ კი – 1 მილიარდ კვტ/სთ-ს. გასულ წელს საქართველომ საზღვარგარეთ 1400 მილიარდი კვტ/სთ ელექტროენერგია გაყიდა, რაც მთლიანი გენერაციის 15% იყო. ენერგეტიკის სამინისტრო მოცულობის დრამატულ ზრდას ელოდება და აცხადებს, რომ 2016 წლისათვის ქვეყანას 5 მილიარდ კვტ/სთ-მდე ელექტროენერგიის ექსპორტის პოტენციალი აქვს.

უცხოური კაპიტალი: უმთავრესი მოთავაშეები

2007 წელს, როცა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონემ პიკს მიაღწია, უცხოელი ინვესტორებისთვის ყველაზე მიმზიდველი ხუთი სექტორი – ტრანსპორტი და კომუნიკაციები (მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 20.7%), მრეწველობა (19.8%), ენერგეტიკა (18%), სასტუმროები და რესტორნები (12%) და მშენებლობა (8.5%) იყო, ხოლო ინვესტორებს შორის ჩეხეთი, ნიდერლანდები, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, კვიპროსი და თურქეთი ლიდერობდნენ. იმავე წელს ჩეხურმა კომპანიამ Enego-Pro Georgia, ქვეყანაში ჰიდროელექტროსადგურები და გამანაწილებელი კომპანიები შეისყიდა და საქართველოს ენერგეტიკის ბაზარზე უმსხვილესი მოთამაშე გახდა.

2010 წლის წინასწარი სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ უცხოელი ბიზნესმენები კვლავაც ბევრ ფულს დებენ ტრანსპორტსა და კომუნიკაციებში (მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 35%). მიმზიდველობა შეინარჩუნა სამრეწველო სექტორმაც (16.4%), ხოლო საფინანსო სექტორის წილმა მკვეთრად მოიმატა – 6.8%-დან 2007 წელს 16.2%-მდე 2010 წელს. საგრძნობლად გაიზარდა უძრავი ქონების წილიც, რომელმაც 15.3%-ს მიაღწია მაშინ, როცა სამი წლით ადრე სულ 1.5% იყო.

2010 წელს ყველაზე დიდი ინვესტორი ნიდერლანდები იყო. მისმა წილმა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებში 143.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მეორე ადგილზე 108.4 მილიონი აშშ დოლარით შეერთებული შტატები

გავიდა, მესამე ადგილი კი 51.5 მილიონით რუსეთმა დაიკავა. მეოთხე ადგილზე 50.2 მილიონი აშშ დოლარით საერთაშორისო ორგანიზაციები გავიდნენ, ხოლო აზერბაიჯანი 46.6 მილიონი აშშ დოლარით – მეხუთეზე. ბოლო ორი წლის განმავლობაში ინვესტორები ნიდერლანდებიდან, ძირითადად, ენერგეტიკისა და ფინანსების სექტორებში მუშაობდნენ, ხოლო შეერთებული შტატები უპირატესად ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სექტორითა და მრეწველობით იყო დაინტერესებული. რუსეთმა დიდი ინვესტიციები ჩადო ტრანსპორტისა და კომუნიკაციების და საფინანსო სექტორებში, საერთაშორისო ორგანიზაციებმა – ძირითადად, უძრავ ქონებასა და საფინანსო სექტორში, აზერბაიჯანმა კი – უძრავი ქონების სექტორსა და ტრანსპორტსა და კომუნიკაციებში.

არაბთა გაერთიანებული საამიროები, რომელიც საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი იყო კრიზისის პერიოდში – 2008 და 2009 წელს, როცა მან, შესაბამისად, 306.5 მილიონი და 169.8 მილიონი აშშ დოლარი ჩადო, 2010 წელს 39.9 მილიონი აშშ დოლარით მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა. არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელმწიფო კომპანია Ras Al Khaimah Investment Authority (RAKIA) ფულს ძირითადად უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მსხვილ პროექტებში დებდა.

2009 წელს მეორე უმსხვილესი უცხოელი ინვესტორი 97.9 მილიონი აშშ დოლარით თურქეთი იყო, ხოლო 2010 წელს მისი წვლილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 37.5 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა და ქვეყანამ მე-7 ადგილზე გადაინაცვლა. თურქული კაპიტალი უმთავრესად ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სექტორსა და მშენებლობაში იდებდა. თურქეთი საქართველოს ჰიდროენერგეტიკის სექტორითაც დიდ დაინტერესებას იჩენს. ამჟამად ჰიდროენერგეტიკის სფეროში სულ 30 პროექტი ხორციელდება, ინვესტიციებმა კი, შეფასებების თანახმად, 3 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ამ 30 პროექტიდან თურქი ინვესტორები 16-ის განხორციელებაში მონაწილეობენ და ენერგეტიკის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ახალი პროექტების მიმართაც იჩენენ ინტერესს.

მოსალოდნელია ეკონომიკის სტაბილური გაჯანსაღება

2009 და 2010 წლებში, როცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მთელ მსოფლიოში კატასტროფულად მცირდებოდა, საქართველოს მთავრობა ძალისხმევას უმთავრესად ფისკალური სტაბილურობის შენარჩუნებასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ახმარდა.

წინასწარი სტატისტიკური მონაცემებით, 2009 წელს 3.8%-ით შემცირების შემდეგ 2010 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.4%-ით გაიზარდა. ეკონომიკური ზრდა, რომელსაც კერძო სექტორში კრედიტების შემოსვლამ და ექსპორტზე საგრძნობლად გაზრდილმა მოთხოვნამ შეუწყო ხელი, მთელ რეგიონ-

ში ყველაზე შთამბეჭდავი იყო (აზერბაიჯანში, რომელსაც ნავთობი და გაზი საექსპორტოდ გააქვს, ზრდა 5% იყო, ხოლო სომხეთში, რომელიც ნავთობსა და გაზს ყიდულობს, – 2.6%).

პრემიერ-მინისტრ გილაურის განცხადებით, მშპ-ის ზრდა 2011 წელს „შეიძლება 5-დან 7%-მდე იყოს“. მისივე თქმით, ეს ოპტიმიზმი უსაფუძვლო არაა: საქართველომ მოახერხა იმის დამტკიცება, რომ მისი ეკონომიკის საფუძვლები საკმარისად მყარია და პოლიტიკური და საერთაშორისო ძვრების მიუხედავად, მოკლე ხანში გაჯანსაღების გზაზე დადგომა შეუძლია.

როცა კერძო სექტორმა ფეხზე წამოდგომა დაიწყო, მთავრობამ ფინანსური სტიმულაციის შეწყვეტა და ხარჯების შემცირება გადაწყვიტა, რის შედეგადაც ბიუჯეტის დეფიციტი 2009 წლის 9.2%-დან 2010 წელს 6.6%-მდე შემცირდა. ყველა ამ პოზიტიური ნიშნის გათვალისწინებით, საერთაშორისო ანალიტიკოსები დადებით პროგნოზებს აკეთებენ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის აპრილის ანგარიშის თანახმად, კრიზისის პირობებში საქართველოს მთავრობის პოლიტიკა წარმატებული იყო, რამაც ეკონომიკის სტაბილიზაცია და ნდობის აღდგენას შეუწყო ხელი. „ეკონომიკა სოლიდური ნაბიჯებით მიდის გაჯანსაღებისაკენ“, – ნათქვამია ანგარიშში, რომლის პროგნოზითაც 2011 წელს ბიუჯეტის დეფიციტი 3.9%-მდე შემცირდება, რაც ფისკალური სექტორის საფუძვლიანი გაჯანსაღების ერთ-ერთი ნიშანი იქნება. მოსალოდნელია მშპ-ის 5.5%-იანი ზრდა.

უმთავრესი ამოცანა: მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოზიდვა 2011 წელს

საქართველოს მთავრობის დღის წესრიგში ამჟამად პირველ ადგილზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა. პროგნოზების თანახმად, 2011 წელს ქვეყანაში დაახლოებით 800 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციები შემოვა. აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს მთავრობა ინვესტიციების მოზიდვას აზიის ქვეყნებში ცდილობდა, რადგან ევროპულ ინვესტორებს კონფლიქტურ რეგიონებში ფულის ჩადება არ უყვართ, აზიელები კი ამ მხრივ, როგორც ფიქრობენ, იმდენად არ ფრთხილობენ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მონაცემებით, წელს ყურადღება აზიის ქვეყნებზე, კერძოდ

კი ჩინეთსა და ინდოეთზე გამახვილდება. ამ სიაშია აზერბაიჯანი და უკრაინაც. პრიორიტეტული სექტორებია ენერჯეტიკა, ტურიზმი, ინფრასტრუქტურა, აგრობიზნესი და ტექსტილის წარმოება.

ინვესტორების ნდობის დაბრუნების საქმეში საქართველოს პერსპექტივების შეფასებისას საერთაშორისო სავალუტო ფონდი აღნიშნავს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობის ხელმეორე ზრდა საქართველოში მოსალოდნელზე უფრო ნელი აღმოჩნდა, თუმცა მდგომარეობა ზოგადად მაინც უმჯობესდება. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში „საკმაოდ კარგ“ დონეზეა. უცხოელი ანალიტიკოსები ქვეყნის წინსვლას აღნიშნავენ, მაგრამ მათი ოპტიმიზმი მაინც ფრთხილია. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს მთავრობას აფრთხილებს, რომ საგარეო ვითარება ალბათ კვლავაც მერყევი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ამდენად სასურველი ხელმეორე ზრდა უწინდებურად დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

დასკვნა

ორ ერთდროულ კრიზისამდე საქართველოში უცხოური კაპიტალი დიდი ოდენობით შემოდოდა, მაგრამ აგვისტოს ომმა და მსოფლიო საკრედიტო კრიზისმა ინვესტორების ნდობას ძლიერი დარტყმა მიაყენა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანდათანობითი კლება გამოიწვია.

ამჟამად საქართველოს მთავრობის ოპტიმიზმის უმთავრესი საფუძველი გასული წლის სტაბილური ფისკალური მდგომარეობაა. მთავრობას იმედი აქვს, რომ ეს ინდიკატორი და საქართველოში არსებული ბიზნესკლიმატი, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა, ასევე ინვესტიციების მოსაზიდად მთელ მსოფლიოში წარმოებული ინტენსიური კამპანია, ქვეყანას უკვე შემოსული ინვესტორების ნდობის განმტკიცებასა და ახალი ინვესტორების (ძირითადად, აზიის ქვეყნებიდან) მოზიდვაში დაეხმარება.

ვინაიდან არსებული რისკები არ გამქრალა, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები საშუალოვადიან პერსპექტივაში საქართველოს მთავრობას საფუძვლიანი ეკონომიკური ზრდისათვის უკეთესი პირობების შექმნას, ყველაზე პერსპექტიული ბიზნესსექტორების გამოვლენასა და მათ განვითარებას ურჩევენ.

ავტორის შესახებ:

მაია ედილაშვილი ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გაზეთის, Georgia Today-ს რედაქტორია. ის ასევე რეგულარულად წერს ინგლისურენოვანი ბიზნეს-ჟურნალის, Investor.ge-სათვის.

საინვესტიციო კლიმატი სამხრეთ კავკასიაში

ბიზნესის კეთების სიაღვილე

მომზადებულია მსოფლიო ბანკის მიერ
 მასალა მზადდება 2003 წლიდან
 სიხშირე: ყოველწლიური
 მონაცემები ასახავს წინა წლის მდგომარეობას.
 ამჟამად მასალა მზადდება 183 ქვეყნის შესახებ.
 URL: <http://www.doingbusiness.org/economyrankings/>

მოკლე აღწერა:

ბიზნესის კეთების სიაღვილის ინდექსი ქვეყნების ეკონომიკას 1-დან 175-მდე ადგილების მიხედვით ალაგებს. ინდექსი გამოითვლება როგორც 10 განსახილველ საკითხში ქვეყნის პროცენტული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკული. მიმოხილვის დროს გამოიყენება შეფასების მარტივი მეთოდები, რათა ქვეყნების დახასიათება და შედარება დროის სხვადასხვა მონაკვეთში მათი მდგომარეობის აღწერის შემთხვევაშიც შესაძლებელი იყოს. მხედველობაში მიიღება ბიზნესის იურიდიული ფორმა, მისი მოცულობა, წარმოების ადგილი და ხასიათი. გამოკითხვა უტარდება 8 ათასზე მეტ ადგილობრივ ექსპერტს, მათ შორის იურისტებს, კონსულტანტებს, ბუღალტრებს, მთავრობის მოხელეებსა და სხვა პროფესიონალებს, რომლებიც რეგულარულად იყენებენ საკანონმდებლო და სხვა რეგულაციებს ან შესაბამის საკითხებზე კონსულტაციებს ატარებენ.

ცხრილი 1: ბიზნესის კეთების სიაღვილე 2010 წლისათვის

	აშშ	საქარ-თველო	გერ-მანია	სომ-ხეთი	აზერბაიჯანი	ჩინეთი	რუსეთი	უკრაინა
ადგილი	5	12	22	48	54	79	123	145
ბიზნესის დანყება	9	8	88	22	15	151	108	118
მშენებლობის ნებართვის აღება	27	7	18	78	160	181	182	179
საკუთრების რეგისტრაცია	12	2	67	5	10	38	51	164
სესხის აღება	6	15	15	46	46	65	89	32
ინვესტორ. დაცვა	5	20	93	93	20	93	93	109
გადასახ. გადახდა	62	61	88	159	103	114	105	181
ვაჭრობა საზღვარგარეთ	20	35	14	82	177	50	162	139
კონტრაქტების შესრულება	8	41	6	63	27	15	18	43


კონკურენტუნარიანობის მსოფლიო ინდექსი

მომზადებულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ
 მზადდება 2005 წლიდან (2001-2004 წწ.: ზრდის კონკურენტუნარიანობის ინდექსი)
 სიხშირე: ყოველწლიური
 მონაცემები მოცემულია დასახელებაში პირველად ნახსენები წლისათვის
 ამჟამად მასალა მზადდება 133 ქვეყნისათვის
 URL: <http://www.weforum.org/en/initiatives/gcp/Global%20Competitiveness%20Report/index.htm>

მოკლე აღწერა:

კონკურენტუნარიანობის მსოფლიო ინდექსი ქვეყნების კონკურენტუნარიანობას აფასებს და იმ ფაქტორების ერთიან მიმოხილვას წარმოადგენს, რომლებსაც შრომის ნაყოფიერებისა და კონკურენტუნარიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს ფაქტორები 90 ინდიკატორისგან შედგება და ცხრა ჯგუფად ერთიანდება. ესენია: ინსტიტუციური ფაქტორები (საკუთრების უფლება, ეთიკა და კორუფცია, შეუსაბამო გავლენა, მთავრობის არაეფექტურობა, უსაფრთხოება, ანგარიშვალდებულება); ინფრასტრუქტურული ფაქტორები (ინფრასტრუქტურის ხარისხი, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაციები); მაკროეკონომიკა; ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება; უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება; ბაზრის ეფექტურობა (კონკურენცია, გადაცდომები, ბაზრის სიდიდე, მოქნილობა და შრომის ბაზრის ეფექტურობა, საფინანსო ბაზრის სირთულე და ლიაობა); ტექნოლოგიური მზაობა; ბიზნესის დახვეწილობა; ინოვაციები. შეფასებები კეთდება სხვადასხვა ტიპის ზუსტი საჯარო მონაცემების კომბინაციისა და აღმასრულებელი პირების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე. ეს უკანასკნელი ამომწურავი ყოველწლიური გამოკითხვაა, რომელსაც თავის პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ატარებს. ამ დროისათვის გამოკითხვა ბიზნესის სფეროს 13 ათასზე მეტ ხელმძღვანელს უტარდება 133 ინდექსირებულ ქვეყანაში. გამოკითხვის ანკეტა ქვეყნის ბიზნესკლიმატზე გავლენის მქონე იმ ფაქტორების ფართო სპექტრს მოიცავს, რომლებსაც მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ღიარამა 1: კონკურენტუნარიანობის მსოფლიო ინდექსი: ქულები და ადგილები 2010-2011 წწ.




ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

მომზადებულია Heritage Foundation-ისა და Wall Street Journal-ის (აშშ) მიერ
 მზადდება 1995 წლიდან
 სიხშირე: ყოველწლიური
 მონაცემები ასახავს წინა წლის მდგომარეობას.
 ამჟამად მასალა მზადდება 183 ქვეყნისათვის
 URL: <http://www.heritage.org/Index/Ranking.aspx>


მოკლე აღწერა:

2007 წელს მიღებული მეთოდოლოგია გადაისინჯა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ეკონომიკური თავისუფლების უფრო ნათელი სურათის წარმოდგენა. ინდექსით 10 კონკრეტული ფაქტორი ფასდება, შემდეგ კი მთლიანობაში საშუალო შეფასება გამოითვლება. ათიდან ყოველი თავისუფლება 100-ქულიანი სისტემით ფასდება, სადაც 100 მაქსიმალური თავისუფლების აღმნიშვნელია. 100 ქულა იმის მანიშნებელია, რომ ეკონომიკური გარემო და პოლიტიკური ზომების ერთობლიობა მაქსიმალურ ეკონომიკურ თავისუფლებას უზრუნველყოფს. შესაფასებელი 10 ფაქტორი შემდეგია: ბიზნესის, ვაჭრობისა და ფისკალური თავისუფლება, თავისუფლება მთავრობისგან, მონეტარული, საინვესტიციო და საფინანსო თავისუფლება, საკუთრების უფლება, თავისუფლება კორუფციისგან, შრომის თავისუფლება.

დიაგრამა 2: ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი: ქულები და ადგილები 2011 წ.



დიაგრამა 3: ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი: ქულები და ადგილები 1995-2011 წწ.




კორუფციის აღქმის ინდექსი

მომზადებულია Transparency International-ის მიერ
 მზადდება 1995 წლიდან
 სიხშირე: ყოველწლიური
 ამჟამად მასალა მზადდება 180 ქვეყნისათვის
 URL: http://www.transparency.org/policy_research/surveys_indices/cpi


მოკლე აღწერა:

კორუფციის აღქმის ინდექსი შედგენილი ინდექსია, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო სექტორში კორუფციის თაობაზე ექსპერტების გამოკითხვის შედეგებს ეფუძნება. ქვეყნების რანგირება ათბალიანი შკალის მიხედვით ხდება. ნული შკალაზე კორუფციის მაღალი აღქმის, 10 კი დაბალი აღქმის მანიშნებელია

დიაგრამა 4: კორუფციის აღქმის ინდექსი 2010: ქულები და ადგილები



დიაგრამა 5: კორუფციის აღქმის ინდექსი 2003-2010



HEINRICH BÖLL STIFTUNG
 საზოგადოებრივი კავშირები

სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოსატყვევებს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

აბენსი



კახა თოლორდავა
ჟურნალისტი



ყველა მაფრთხილებს: გაიგე, არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად კარგად მუშაობენ ისინი, უბრალოდ, საქმე ისაა, რომ ასეთ რამეებზე წერა უინტერესოა. სადაა ინტრიგა? სადაა დრამა? სადაა დღევანდელობის კრიტიკული ხედვა? სადაა სიმწვავე? არ ვეთანხმები. ვეკითხები: რატომ არ შეიძლება იმაზე წერა, რაც მომწონს? რატომ არ შემოიღია მომცრო ტექსტით მადლობა გადავუხადო იმისთვის, რასაც აკეთებენ და ამით კიდევ უფრო გავამხნევო ისინი? მპასუხობენ: შეძლებით როგორ არ შეიძლება, მაგრამ რა უნდა დაწერო ისეთი, რაც ტექსტს ხარისხიანს გახდის? კარგი, ვთქვათ, შეუქმნე საქმეს, იტყვი, რომ მაგრა მუშაობენ, დაამატებ, რომ ასე კარგად თბილისში ცოტა თუ მუშაობს, და რომ მათი მუშაობით შენი ცხოვრება ხშირად უფრო მოხერხებული ხდება, მაგრამ მერე რაა, რო? იმავე წამს მივახლი: თქვენ თვითონ პასუხობთ, თუ რატომაც უნდა დაწერო მათზე რამე, სწორედ იმიტომაც, რომ კარგად მუშაობენ! ჰო, ვიცით, – მპასუხობენ სახეზე სიმწვავეგადაკრულები, – მაგრამ ყველაფერი ის, რისი დაწერაც გინდა, ერთ წინადადებაში ჩაეტევა და ეს წინადადება სარეკლამო შეძახილივით იქნება, „ბიჭებო, მაგრები ხართ!“ ესაა და ეს. ის კი არა, ვინეს ეგონება, რომ ფული გადაგიხადეს მაგათ ქება-დიდებაში! ხომ გაიგე, რასაც გეუბნები? გაიგე, მესმის, – ვპასუხობ, – მაგრამ თუ თბილისზე წერ, რასაც მე ვაკეთებ კიდევ, რაა ცუდი იმაში, რომ ვილაც შეაქო და წაახლისო? – ეგ ცუდი ჟურნალისტიკაა, – სასწრაფოდვე მპასუხობენ, – თითიდან გამოწვრილი თემაა და ეს შენ თვითონაც

კარგად იცი! წადი და პი-არად დაიწყე მუშაობა მათთან, ასეთ შემთხვევაში ყველასათვის ყველაფერი გასაგები იქნება! არ მინდა იქ მუშაობის დაწყება, – ვაპროტესტებ ჯიუტად, – მინდა, რომ 450 საქები სიტყვა დაწერო მათზე; ვიცი, რომ გაუხარდებათ, ისიც ვიცი, რომ მთელი თბილისი დამეთანხმება და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ! ვინმე ახლობელი მუშაობს იქ? – მეკითხებიან ცალყბა, ყოვლისმცოდნე ლიმილით. არა, იქ არავის ვიცნობ, – ვპასუხობ. მაშინ შენი საქმის შენ იცი, ძმაო, შენი გვერდია, შენი ტექსტია, შენი გადასაწყვეტია! შეგვეკითხე,



ყველა მაფრთხილებს: გაიგე, არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად კარგად მუშაობენ ისინი, უბრალოდ, საქმე ისაა, რომ ასეთ რამეებზე წერა უინტერესოა. სადაა ინტრიგა? სადაა დრამა? სადაა დღევანდელობის კრიტიკული ხედვა?

გპასუხობთ; დანარჩენი შენ იცი და შენმა ჟურნალმა. მაინც ვერაფერი გავიგე, – ვბურღლუნებ ჩემთვის და კამათს ამით ვწყვეტ; მე მათი არ მესმის, იმათ კი – ჩემი; რალა აზრი აქვს ამ უაზრო საუბრის გაგრძელებას? მერე კი, უეცრად, მეც ეჭვი მეპარება ჩემსავე სიმართლეში და საკუთარი თავის გადარწმუნებას ვიწყებ, – მართლები არიან და სწორსაც მეუბნებიან! ბოლოს და ბოლოს, ის, რასაც ეს სამსახური აკეთებს, მათი საქმეა, ფულს ამაში უხდებიან და სრულიადაც არაა აუცილებელი მაინც და მაინც ქება-დიდებათ შეამკო ყველა, ვინც თავის საქმეს აკეთებს. მართალია, ეს ხომ, უბრალოდ, ცუდი ჟურნალისტიკაა! რა, სხვაგან ეს სამსახური არა აქვთ თუ? იქ რა, ცუდად მუშაობენ? რა თქმა უნდა, კარგად, სხვანაირად რა აზრი აქვს მათ არსებობას, მაგრამ ერთი საქებარი სიტყვა მაინც თუ დაუწერია იქაურ სამსახურებზე ვინმეს? სადმე თუ წაგიკითხავს? ჯანდაბას, როგორც მოქალაქეს, შეგიძლია დაურეკო და უთხრა, რომ კმაყოფილი ხარ მათი მუშაობით, და რომ ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ დაგხმარებიან, როცა გიჭირდა... და ასე შემდეგ. ჰო, ასეც მოვიქცევი, – დაფურეკავ და ყველაფერს ვეტყვი! ქალი მპასუხობს: „ოპერატორი 09 გისმენთ!“ „უკაცრავად...“ – ჩაეჩურჩულე ყურმილს, – „სულ მინდოდა თქვენზე რამის დაწერა, სადაც მადლობას გადაგიხდით იმისთვის, რასაც აკეთებთ, მაგრამ ვერ ვხედავ, არ მინდა, ვინმეს ცუდი ჟურნალისტი ვეგონო. კარგად ბრძანდებოდეთ, გმადლობთ და აბა, თქვენ იცით! ხელისგულები გამოიფლიანდა! არა, მაინც დაწერ რამეს ამათზე!“



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, საშურნი
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5

FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9



WWW.LIBERALI.GE
